<p>ნაშრომში განხილულია რეაჩოვ-ობგაძის RO მეთოდი. აგებულია მრავლადბმული საზღვრის განტოლების შედგენის ალგორითმი; რისთვისაც გამოყენებულია ობგაძის ჰომომორფიზმები. შემუშავებულია დიფერენციალური განტოლებებისათვის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის ალგორითმები, რომლებიც შემოწმებულია რიგი ტესტური ამოცანების რიცხვითი ამონახსნითMathcad-ის ბაზაზე. განხილულია კომპიუტერული პირველი რიგის დიფერენციალური განტოლებისათვის, შესწავლილია კვადრატული განიკვეთის მიღში სითხის დინების ამოცანა, ამოხსნილია სასაზღვრო ამოცანა სითბოგამტარობის ერთგანზომილებიანი არასტაციონალური განტოლებისათვის და შესწავლილია ბიურგერის განტოლების რიცხვითი ამონახსნიROმეთოდით. რიცხვითი ამონახსნის შედეგები შედარებულია ცნობილ ზუსტ და სხვა მეთოდებით ამოხსნილ შედეგებთან. მოცემულია გათვლების აბსოლუტური და ფარდობითი ცდომილებების სიდიდეები.</p>					
8	Besarion Shanshiashvili, Mindia Salukvadze, Vladimer Gabisonia	Estimation of system matrix at identification of linear dynamical non-stationary systems. Archil Eliashvili Institute of	2016, № 20	თბილისი	10

		control systems of the Georgian Technical University. Proceedings.			
--	--	--	--	--	--

ანოტაცია

განხილულია წრფივი არასტაციონარული დინამიკური სისტემების იდენტიფიკაციისას სისტემის მატრიცის შეფასების ამოცანა. იგულისხმება, რომ მდგომარეობის ვექტორის პირდაპირი დაკვირვება არ არის შესაძლებელი და გამოსავალი მატრიცის ელემენტები – ცვლადებია. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია როგორც წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების კოშის ამოცანის გარკვეული აზრით შებრუნებული ამოცანა. სისტემის პარამეტრებზე, შესავალ და გამოსავალ ცვლადებზე ზოგიერთი შეზღუდვების დროს ფორმულირებულია და დამტკიცებული თეორემა ისეთი ინტერვალის არსებობის შესახებ სადაც სისტემის უწყვეტი მატრიცა იდენტიფიცირებადია. პარამეტრების შეფასების ალგორითმი და მოდელის დადასტურების საკითხი გამოკვლეულია მეორე რიგის სისტემების იდენტიფიკაციის მაგალითზე.

9	ნანა მაღლაკელიძე, ვალიდა სესაძე, გელა ჭიკაძე, ვლადიმერ კეკენაძე.	ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირების პრობლემის გადაწყვეტა სინერგეტიკული მეთოდით.	გამოცემის პროცესში	თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები	6 გვ.
---	--	--	--------------------	---	-------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ჩაკეტილი ოპტიმალური დისიპატიური მართვის სისტემების სინთეზი, კერძოდ ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირების პრობლემის გადაწყვეტა სინერგეტიკული მეთოდების გამოყენებით, ნაჩვენებია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტისას დამოუკიდებელ პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი ხარისხის კრიტერიუმის ფორმირება.

10	ნანა მაღლაკელიძე, ინგა აბულაძე.	კიბოს დიაგნოსტიკა ადრეულ ეტაპზე და მისი მკურნალობის მეთოდი ნანოტექნოლოგიის გამოყენებით. მერვე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „განათლება XXI	გამოცემის პროცესში	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	5გვ.
----	---------------------------------	---	--------------------	--	------

		საუკუნეში”, შრომები			
ანოტაცია					
სტატია ეხება კიბოს დიაგნოსტიკისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ კი ნანოტექნოლოგიების როლს ამ სფეროში.					
11	ს. ხუციშვილი, დ.გორგიძე, ნ.ხარაძე	“პროექტების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ანალიზი”. “ბიზნეს-ინჟინერინგი.	№1-2, 2016	ტექნიკური უნივერსიტეტი	7
ანოტაცია					
განიხილება პროექტების მართვის ბიუროკრატიული სტრუქტურები (ძირითადად ხაზოვან-ფუნქციონალური) და უფრო მოქნილი ადაპტიური სტრუქტურები, გაანალიზებულია ასეთი სტრუქტურების ძირითადი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, მათი გამოყენების მიმართულებები.					
12	ჯ. გაგლოშვილი, ზ. გასიტაშვილი, ს. ხუციშვილი	“ინოვაციური იდეების მრავალკრიტერიუმანი ექსპერტული შეფასე- ბათა სისტემა TOBSIS მეთოდის ბაზაზე”- რეცენზირებადი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი კომპიუტერული მეც- ნიერებანი და ტელეკო- მუნიკაციები(ქესუ)	I 2755, 2016 წ	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7
ანოტაცია					
ინოვაციური იდეების შეფასების და გადარჩევის ერთ –ერთი მეთოდის რანგში განიხილება TOBSIS მეთოდი, მრავალკრიტერიუმანი ექსპერტული მეთოდის ერთ-ერთი ვარიანტი, კერძოდ საუკეთესო ვარიანტად განიხილება უკეთეს შეფასებასთან ყველაზე მოკლე მანძილი (დაშორება).					
14.	ო. კოტრიკაძე, ქ. კოტრიკაძე	“შესამე რიგის განტოლებების ფესვური ჰოლოგრაფების კვლევა ტრიგონომეტრიის გამოყენებით” არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების	2016, № 20 გვ. 70-74	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5

		ინსტიტუტი. შრომათა კრებული.			
ანოტაცია					
<p>ფესვური ჰოლოგრაფი არის (ბერძ. ოდოს – გზა, გრაფიკი) არის ალგებრული განტოლების ფესვების მოძრაობის ტრაექტორიების ერთობლიობა, როცა ადგილი აქვს ამ განტოლების ერთი ან რამდენიმე კოეფიციენტის ცვლილებას. ფესვური ჰოლოგრაფები, ავტომატური რეგულირების სისტემების ანალიზის და სინთეზის ამოცანებში პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ევანსმა და საკმაოდ წარმატებულადაც. ეს მოხდა გასული საუკუნის 40-იან წლების მიწურულს. ევანსის მიერ დამუშავებული იქნა ფესვური ჰოლოგრაფების აგების და გამოყენების გრაფო-ანალიზური მეთოდი; მანვე ფესვების ტრაექტორიების ასაგებად გამოიგონა სპეციალური სახაზავი “სპირული,” რომლითაც მარტივდებოდა ალგებრული განტოლების ფესვების არგუმენტების გრაფიკულად პოვნა და აჯამვა. თითქმის ევანსის პარალელურად ფესვური ჰოლოგრაფების ანალიზური კვლევით დაინტერესდნენ რუსი მეცნიერი თეოდორჩიკი და მისი მოსწავლე ბენდრიკოვი, რომლებმაც ფკ-ების ანალიზური გამოსახულებების მისაღებად ისარგებლეს პოლინომის ტეილორის მწკრივით.</p> <p>ჩვენს მიერ ფკ-ების თვისებების დასადგენად და გრაფიკის ასაგებად, შემოთავაზებული იქნა პოლინომის ფესვების გამოსახვა ტრიგონომეტრიული ფორმაში. ასეთი მიდგომა ერთი შეხედვით ართულებს სასურველი შედეგის მიღწევას, სინამდვილეში კი ფკ-ების (ალგებრული განტოლების ფესვების ტრაექტორიების) დადგენა იმდენად ელემენტარულად და ლამაზად ხდება, რომ ასეთი ანალიზური მიდგომით ფკ-ების კვლევა და გრაფიკის აგება უდავოდ რაციონალურია და მომხიბვლელი.</p> <p>აღნიშნულ ნაშრომში ჩვენს მიერ განხილული სამწვერა, ნებისმიერი რიგის განტოლების ფკ-ების კვლევა და აგება, როცა ადგილი აქვს ამ განტოლებების ორი კოეფიციენტის ერთდროულად ცვლილებას (სამწვერა განტოლებაში მხოლოდ ორი კოეფიციენტი, რომელიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიძლება იცვლებოდნენ).</p>					
14.	K. Kotrikadze, O. Kotrikadze	“Fourth-order equation Triplex research with root locus Methods” Journal of Technical Science and Technologies	Vol. 6 (2) 2016	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	3 შენიშვნა: სტატია გამოვა დეკემბერში
ანოტაცია					
<p>ფესვური ჰოლოგრაფი (ფკ) პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ვ. ევანსმა (Walter R. Evans) ავტომატური მართვის სისტემების ანალიზისა და სინთეზის ამოცანების გადასაჭრელად. ვ. ევანსმა გამოიყენება ფკ-ს აგების გრაფო-ანალიზური მეთოდი. სტატიაში განხილულია სამწვერა პოლენომის ფკ-ები, როცა ადგილი აქვს ერთი პარამეტრის ცვლილებას.</p>					
15	ვ.სესაძე ნ.სესაძე ვ.კეკელიძე	ქაოსური პროცესების ანალიზი სინერგეტიკის მეთოდებით	1(11)/2016	თბილისი საერთაშორისო სამეცნიერო	7

				ჟურნალი “საპაერო ტრანსპორტი”	
--	--	--	--	------------------------------------	--

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სინერგეტიკული მიდგომის როლი ეკოლოგიური პროცესების მართვაში. კონკრეტულად, მარტივი არაწრფივი ამოცანის მაგალითზე ნაჩვენებია, თუ როგორ გარდაიქმნება ერთი ტიპის ბიფურკაცია მეორეში შესაბამისი მმართველი ზემოქმედების შემოტანით. ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება მართვის თეორიის გამოყენებით თავიდან ავიცილოთ პოპულაციის კატასტროფული განადგურება, რომელიც გამოწვეულია თევზჭერის მაქსიმალურად ხისტი გეგმით. ეკოლოგიური პროცესის მმართველი პარამეტრების შერჩევის გზით მდგომარეობის სივრცეში შესაძლებელია სასურველ ატრაქტორზე გასვლა და უზრუნველყოფილ იქნეს თვითორ-განიხება – მიზიდვა ინვარიანტულ მრავალსახეობისაკენ (ატრაქტორისაკენ) ნებისმიერი საწყისი მდგომარეობის დროს.

16	ვალდა სესაძე, ნელი სესაძე, შორენა დავითელაშვილი	სინერგეტიკული მიდგომის მნიშვნელობა თანამედროვე მეცნიერებასა და მსოფლმხედველობაში	1(3)/2016	თბილისი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამეცნიერო შრომები	5
----	--	--	-----------	--	---

ანოტაცია

როული სისტემების კვლევისათვის თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო ახალ მიმართულებებს გვთავაზობს. მათ შორის არის სინერგეტიკა, რომელიც სულ რაღაც სამათეულ წელს ითვლის და წარმოადგენს დისციპლინათა შორის მიმართულებას. სინერგეტიკა შეისწავლის თვითორგანიზების საერთო კანონზომიერებებს, სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომლებიც წარმოიშობა როდესაც, ღია სისტემებში ნივთიერებების პერმანენტული ნაკადების გაცვლის პროცესში. სინერგეტიკის შესწავლის ობიექტად გვევლინებიან სრულიად განსხვავებული სისტემები, ატომიდან დაწყებული ადამიანით დამთავრებული. სინერგეტიკის ზოგადსახისტემო კანონზომიერებათა დადგენამ ნათელყო ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების სისტემათა მოწყობის ერთიანი საყოველთაო სურათი. საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების ისტორიაში სინერგეტიკის ბაზაზე დაიწყო სამყაროს მთლიანობის ხედვის ერთიანი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება. დღესდღეობით სინერგეტიკას მიმართავს სოციალურ-ეკონომიკური სფეროს ბევრი დარგი. სტატიაში განხილულია სინერგეტიკის ზოგადსახისტემო თეორიად ჩამოყალიბების ეტაპები. აღწერილია, რომ ამ თეორიის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა შესაბამისი მათემატიკური აპარატის, მხედველობაში გვაქვს ჯგუფების თეორიის, ბიფურკაციის თეორიის, არაწრფივი დინამიკის, კატასტროფების თეორიის, სისტემური ანალიზის და სხვ. ინსტრუმენტების განვითარების საფუძველზე.

17	ვ.სესაძე გ.ჭიკაძე	აგრეგირებული რეგულატორების	1(11)/2016	თბილისი საერთაშორისო	6
----	----------------------	-------------------------------	------------	-------------------------	---

		ანალიზური კონსტრუირება სინერგეტიკის მეთოდებით		სამეცნიერო ჟურნალი “საპაერო ტრანსპორტი”	
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ნაშრომში განხილულია ჩაკეტილი ოპტიმალური დისიპატიური მართვის სისტემების სინთეზი, კერძოდ ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირების პრობლემის გადაწყვეტა სინერგეტიკული მეთოდების გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტისას დამოუკიდებელ პრობლემას წარმოადგენს შესაბამისი ხარისხის კრიტერიუმის ფორმირება. ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირების ამოცანა თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ოპტიმალური მართვის სისტემების მნიშვნელოვან ამოცანას. ამდენად მნიშვნელოვანია ამ ამოცანების გადაწყვეტის ახალი მეთოდების შემუშავება, რომლებშიც ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირების ამოცანა ეფუძნება თანამედროვე მართვის სინერგეტიკულ თეორიას.</p> <p>განვიხილოთ ოპტიმალური დისიპატიური მართვის სისტემების სინთეზის საკმაოდ ეფექტური მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს ლეტოვ-კალმანის მეთოდი და დინამიკური სისტემების ასიმპტოტური მდგრადობის აუცილებელი პირობა [6]</p> <p>პირველ რიგში მას გააჩნია არსებითი თეორიული მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ოპტიმალური მართვის სინთეზის პროცედურა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კავშირი ჩაკეტილი მართვის ოპტიმალურ სისტემებსა და ფუნდამენტალურ ფიზიკურ პროცესებს შორის. ამ კავშირებს საფუძვლად უდევს მათემატიკური მოდელი წრფივი დიფერენციალური განტოლებების ან მეორე რიგის კერძო წარმოებულნი უტოლობის სახით. როგორც ცნობილია, ფართო კლასის ფუნდამენტალური ფიზიკური პროცესების კლასიფიკაცია დაკავშირებულია ასეთი ტიპის განტოლებების ან უტოლობების განსაზღვრებებთან. მართვის ოპტიმალურ სისტემებში პროცესებსა და ფიზიკურ პროცესებს შორის კავშირი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მართვის ოპტიმალური დისიპატიური სისტემების ახალი კლასიფიკაცია, რომლებიც დაფუძნებულია ბუნების ფუნდამენტალურ კანონებზე. ოპტიმალური სისტემების ანალიზისა და სინთეზისადმი ასეთი მიდგომა პასუხობს მართვის თეორიის განვითარების თანამედროვე დონეს, რომელიც დაკავშირებულია მართვის ფიზიკური თეორიის განვითარებასთან.</p> <p>ოპტიმალური მართვის სინთეზის შემოთავაზებულ მეთოდს გააჩნია ანალიტიკური თვისებები, რომელიც განასხვავებს მას არსებული ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირების (ორაკ)-ის მეთოდებისაგან.</p>					
18	ვ. კუციავა, ა. კუციავა, ქ. გოგუა, გ. გოგოლაძე.	ინფორმაციის დაშიფვრის სიმეტრიული კრიპტოგრაფიული სისტემებისათვის საიდუმლო გასაღების მაფორ- მირებელი ალგორითმი.	მართვის ავტომატიზებული სისტემები №1 (21)	თბილისი	8
ანოტაცია					

განხილულია ინფორმაციის დაშიფვრის სიმეტრიული კრიპტოგრაფიული სისტემებისათვის საიდუმლო გასაღების მაფორმირებელი ორიგინალური ალგორითმი, რომელიც უზრუნველყოფს შემხვევითი მნიშვნელობის და შემთხვევითი სიგრძის მქონე საიდუმლო გასაღების მიღებას.

19	ვ. კუციავა, ა. კუციავა, გ. გოგოლაძე.	ინფორმაციის დაშიფვრის არასტანდარტული სიმეტრიული კრიპტოგრაფიული ალგორითმი.	მართვის ავტომატიზებული სისტემები №1 (21)	თბილისი	5
----	--	---	--	---------	---

ანოტაცია
განხილულია ათობითი სისტემით წარმოდგენილი ASCII ან EBCDIC კოდის ნებისმიერი რაოდენობის სიმბოლოებისაგან შედგენილი მონაცემთა ბლოკის დაშიფვრა არასტანდარტული სიმეტრიული კრიპტოგრაფიული სისტემის ალგორითმის გამოყენებით

15	Paata Jokhadze, Davit Chikovani, Okan Eray.	On the Principle of Turbine Type Selection and Their Control in the HPP design. JOURNAL OF TECHNICAL SCIENCE AND TECHNOLOGIES (JTST),	Volume 5, Issue 1, Tbilisi, 2016	International Black Sea University,	pp.11-13.
----	---	---	----------------------------------	-------------------------------------	-----------

ანოტაცია
სტატიაში განხილულია მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის (ჰესი) ენერჯის საშუალო წლიური გამომუშავების გაზრდის საკითხები ჰესის საანგარიშო ხარჯის გაზრდის გარეშე. მოყვანილია ტურბინების ტიპის შერჩევის ტრადიციულისაგან განსხვავებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ჰესის ხელმისაწვდომი ჰიდრორესურსების მაქსიმალური ეფექტურობით ათვისებას. მოყვანილია ჰესის ენერჯის ყოველდღიური საშუალო გამომუშავების მოდელირების შედეგები, ამისათვის სპეციალურად შედგენილი პროგრამული უზრუნველყოფით.

II.2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის აღიანი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	---------------------	---	---------------------------------	--------------------------------------	------------------------

1	Guram Beltadze	Game Theory - basis of Higher Education and Teaching Organization. . International Journal of Modern Education and Computer Science	Volume 8, Number 6, Jun 2016	Hong Kong, MECS	9
---	----------------	---	------------------------------	-----------------	---

ანოტაცია

უმაღლეს სკოლაში საგნის სწავლებისათვის საჭირო ეფექტური ურთიერთობის პროცესი წარმოდგენილია, როგორც არაკოოპერატიული თამაში პროფესორსა და სტუდენტებს შორის. ეს პროცესი გულისხმობს სწავლების ორგანიზაციული S სისტემის ფუნქციონირებას, რომელიც შეიცავს P -პედაგოგს (პროფესორს) და სტუდენტთა K კოლექტივს. უპირატესობა ენიჭება ურთიერთობის დემოკრატიულ მოდელს – პედაგოგისა და სტუდენტის ობიექტურ და ოპტიმალურ ურთიერთპასუხისმგებვლობას მათზე დაკისრებული უფლებამოვალეობებისადმი. აგებულია S სისტემის მართვის შესაბამისი არაკოოპერატიული თამაშების მოდელების ორი კლასი - თამაშები უპირატესობათა მიმართებებით და თამაშები სარგებლიანობებით. მათში ოპტიმალურობის ძირითადი პრინციპია ნეშის წონასწორობა. აღნიშნული წონასწორობის პრინციპით ამოხსნილია S სისტემის ფუნქციონირების პროცესში წარმოშობილი ამოცანები.

2	Guram Beltadze, Jimsher Giorgobiani	The Stability of Equilibrium Situation in lexicographic Strategic Games	Volume 8, Number 12, December 2016	Hong Kong, MECS	8 შენიშვნა: სტატია გამოქვეყნდება დეკემბრის დასაწყისში
---	-------------------------------------	---	------------------------------------	-----------------	--

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ლექსიკოგრაფიული არაკოოპერატიული თამაშები, რომლებშიც მოთამაშეთა სტრატეგიების სიმრავლეები მეტრიკული კომპაქტურისივრცეებია, ხოლო მოგების ვექტორ-ფუნქციები უწყვეტია სიტუაციათა სიმრავლეზე. შემოგვაქვს ასეთ თამაშებში სუსტი არამკაცრი (ჩვეულებრივი არამკაცრი ლექსიკოგრაფიული უტოლობით განსაზღვრული) ნეშის წონასწორული სიტუაციის განსაზღვრება წმინდა სტრატეგიებში. განსაზღვრულია მოთამაშეთა მოგების ვექტორ-ფუნქციების ცვლილებასთან დაკავშირებით ასეთი წონასწორული სიტუაციის მდგრადობა და ლექსიკოგრაფიული არაკოოპერატიული თამაშის მდგრადობა. შესწავლილია მდგრადი წონასწორული სიტუაციის და მდგრადი ლექსიკოგრაფიული თამაშის არსებობის პრობლემა. მოყვანილია მათი მდგრადობის პირობები. არნიშნული პირობების დადგენა დაკავშირებულია ლექსიკოგრაფიული

მაქსიმუმის ამოცანის იმ თვისებასთან, რომელიც განასხვავებს მას სკალარული მაქსიმუმის ამოცანისაგან: მეტრიკულ კომპაქტზე განსაზღვრული უწყვეტი ვექტორ-ფუნქციის ლექსიკოგრაფიული მაქსიმუმის ამოცანაში ლექსიკოგრაფიული მაქსიმუმის წერტილების სიმრავლე კომპაქტურია, ხოლო ლექსიკოგრაფიულ არაკოპერატიულ თამაშში წონასწორობის სიტუაციათა სიმრავლე შეიძლება არ იყოს კომპაქტური. კერძოდ, დამტკიცებულია, რომ თუ ლექსიკოგრაფიულ თამაშში არსებობს ერთადერთი წონასწორული სიტუაცია, მაშინ იგი არის მდგრადი სიტუაცია, ხოლო შესაბამისი თამაში მდგრადი.

3	Teimuraz Matcharashvili, Tamaz Chelidze, Z. Javakhishvili, Natalia Zhukova	Variation of the scaling characteristics of temporal and spatial distribution of earthquakes in Caucasus	Physica A 449 (2016) 136-144.	Elsevier, Netherlands	10
---	--	--	-------------------------------	-----------------------	----

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება რთული დინამიკური პროცესების მასშტაბური ინვარიანტიების რაოდენობრივი კვლევის საკითხს. კავკასიაში 1960 წლიდან რეგისტრირებულ მიწისძვრებს შორის დროის ინტერვალების მონაცემთა მასივის მაგალითზე შესწავლილია სეისმური პროცესის დროში განაწილების ზოგადი კანონზომიერებები. გამოყენებული იქნა ტრენდმოცილებული ფლუქტუაციების ანალიზის მეთოდი. ნაჩვენებია იქნა რომ შესწავლილ მონაცემთა მასივებში გრძელვადიანი კორელაციების ცვლილებას კვაზიპერიოდული ბუნება ახასიათებს. ეს შედეგები შედარებული იქნა დროით სისშირული ანალიზის ადრინდელ შედეგებთან და დადგენილი იქნა რომ დროსა და სივრცეში მიმდინარე ცვლილებები საპირისპირო ფაზებით ხასიათდებიან.

4	Teimuraz Matcharashvili, Zurab Tsvraidze, Ketevan Kotrikadze, Tamar Matcharashvili and Alexander Topchishvili,	Analysis of relation between reviewers' evaluation of proposals and research performance (case study for the Georgian governmental funding organization), Model Assisted Statistics and Applications,	11 (2016) 71–79, DOI 10.3233/MAS-150354, IOS Press	IOS Press, Netherlands	9
---	--	---	--	------------------------	---

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია საქართველოში სამეცნიერო კვლევების პროდუქტიულობის

საკითხი ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით. ნაშრომი წარმოადგენს საინტომეტრული მიდგომის გამოყენების ერთ ერთ პირველ მაგალითს ქართული მეცნიერების პროდუქტიულობის შეფასების საკითხში. მონაცემთა მასივების დამუშავების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ნაჩვენებია იქნა რომ ქართული მეცნიერების დაბალი პროდუქტიულობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს სახელმწიფო საგრანტო დაფინანსებაში არსებული შეფასების არასწორი მეთოდი. განხილულია ღონისძიებები რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საერთაშორისო რეიტინგებში ქართული მეცნიერების შეფასების ღონის ამაღლებას.

5	Tamaz L. CHELIDZE, Ia SHENGELIA, Natalya ZHUKOVA, Teimuraz MATCHARASHVILI, George MELIKADZE, Genady Kobzev,	M9 Tohoku Earthquake Hydro- and Seismic Response in the Caucasus and North Turkey,	Acta Geophysica, 64, 3, 2016, 567- 588.	DE GRUYTER, Poland	12
---	---	--	--	-----------------------	----

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება შორეული მიწისძვრების ლოკალურ სეისმურობაზე გავლენის აქტუალურ საკითხს. შესწავლილია ტოჰოკუს, იაპონია, ძლიერი მიწისძვრის მიერ კავკასიასა და ჩრდილოეთ თურქეთში გამოწვეული სეისმური და ჰიდროლოგიური ცვლილებები. დადასტურებულია ზოგიერთი ცვლილების არსებობა როგორც სეისმური პროცესის თავისებურებებში ასევე ჰიდროლოგიურ პროცესებშიც. აქვე ხაზგასმულია შორეული ძლიერი მიწისძვრების შედარებით სუსტი ლოკალური ეფექტების კვლევისადმი ფრთხილი მიდგომის აუცილებლობა.

6	Teimuraz N. Matcharashvili, Tamaz L. Chelidze, Natalya N. Zhukova, Zurab N. Tsveraidze,	Application of the dynamic data analysis in the real time monitoring of high dam body behavior,	Chaotic Modeling and Simulation (CMSIM) 3: 309-315, 2016.	Germany	6
---	---	---	---	---------	---

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება მაღლივი კაშხლების დინამიკური ქცევის მონიტორინგისათვის მონაცემთა ანალიზის თანამედროვე არაწრფივი მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას. კერძოდ ენგურის კაშხლის დეფორმაციების/ვიბრაციების დროითი მწკვრივების წრფივი და არაწრფივი მეთოდებით დამუშავების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ აღნიშნული მეთოდები სასარგებლოა ნაგებობის სტაბილურობის საკითხის შესასწავლად.

7	ი.მოსაშვილი, თ. ლომინაძე, ს.მუსაშავრია	ჭკვიანი სახლის განათების რეგულირების ავტომატური	პირველი გამოცემა ISBN 978-80-558- 1040-9	ნიტრა, კონსტანტინე ვილოსოფოსის უნივერსიტეტი	გვ.88-90 (3)
---	--	--	---	--	--------------

		მართვის სისტემა. ჩაშენებული სისტემები და ტენდენციები ინჟინერიის სწავლებაში, საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები			
ანოტაცია					
<p>ნაშრომში შემუშავებული და აგებულია ისეთი “ჭკვიანი სახლის” მაკეტი, რომლის განათების სისტემა მოქმედებს სახლში ფარდების მდგომარეობაზე, ის იმართება გარემოში არსებული სინათლის საფუძველზე. მართვა ხორციელდება სენსორული სისტემისა და ArduinoMega 2560 კომბინაციის საშუალებით. აღნიშნული “ჭკვიანი სახლის” მოდელი მარტივად მართვადი, საიმედო და იაფია, რადგან მართვა ხდება პროგრამულად და მასში შემავალი კომპონენტების ღირებულება ძალიან დაბალია.</p>					
8	ი.მოსაშვილი, თ.ლომინაძე, ნ.ყურაშვილი	ჭკვიანი პარკირების მართვის პრობლემები PASYARD სისტემის მაგალითზე. ჩაშენებული სისტემები და ტენდენციები ინჟინერიის სწავლებაში, საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები	პირველი გამოცემა ISBN 978-80-558-1040-9	ნიტრა, კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი	გვ.91-93 (3)
ანოტაცია					
<p>ნაშრომში განხილულია პარკირების სისტემის პრობლემები და მისი გადაჭრის გზები. პარკირების პრობლემის გადასაწყვეტად დაპროექტებულია “ჭკვიანი პარკირების სისტემა PASYARD”. მოცემული სისტემა მძღოლს აწვდის ინფორმაციას ავტოსადგომის შესახებ, სადა არის თავისუფალი ადგილები პარკირებისათვის და რამდენია ის. სისტემის მართვა ხორციელდება პარკირების ტერიტორიაზე სენსორული სისტემის საფუძველზე, Arduino დაფის საშუალებით. აღნიშნული პარკირების სისტემის პროტოტიპი მოქნილი, კომფორტული და მარტივად გასაგებია, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელზე.</p>					
9	ი.მოსაშვილი, გ.ჩაჩუა	ჩაშენებული სისტემების საიმედოობის გაზრდის მეთოდები. ჩაშენებული	პირველი გამოცემა ISBN 978-80-558-1040-9	ნიტრა, კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი	გვ.94-96 (3)

		სისტემები და ტენდენციები ინჟინერიის სწავლებაში, საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები			
--	--	--	--	--	--

ანოტაცია

TDD გამოყენება ჩაშენებული პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში სისტემის დამუშავებლებს საშუალებას აძლევს შექმნან კარგად ტესტირებული სისტემები. ნაშრომში წარმოდგენილი მეთოდოლოგია არ არის დამოკიდებული ინსტრუმენტებსა და პლატფორმაზე, რომლითაც TDD - მეთოდს საშუალებას აძლევს მოახდინოს დამუშავების და ტესტირების რეალიზაცია, რომლითაც იხვეწება პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება, იზრდება ხარისხი, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ, საერთო დანახარჯების შემცირებასთან, მოწყობილობების ექსპლუატაციის პერიოდში მათი დეფექტების შემცირებისა და ფუნქციონალობის მუდმივი დახვეწის შესაძლებლობებთან.

კვლევის ფარგლებში შექმნილი ბიბლიოთეკები შემდგომში წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც კვლევების გაგრძელების ახალ მიმართულებებში, ისე პრაქტიკული დანიშნულებითაც, კერძოდ მისი მეშვეობით შესაძლებელია შეიქმნეს ისეთი აპარატურული უზრუნველყოფა, რომელიც პირველ ეტაპზე მოახდენს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული წვრილი და მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკაში ფუნქციონირებადი მართვის ჩაშენებული სისტემის სწრაფ და ეფექტურ დიაგნოსტიკას და პრობლემის აღმოფხვრას.

10	ი.მოსაშვილი, თ.სახელაშვილი	ვებ-ზე დაფუძნებული ავტომობილის ჩაშენებული სისტემის ეფექტურობის ამაღლება და მისი პრაქტიკული გამოყენება. ჩაშენებული სისტემები და ტენდენციები ინჟინერიის სწავლებაში, საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები	პირველი გამოცემა ISBN 978-80-558-1040-9	ნიტრა, კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი	გვ.155-157 (3)
----	----------------------------	--	--	---	----------------

ანოტაცია

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ჩაშენებული სისტემების ქცევის შეფასების ახალი ტექნოლოგიის შემუშავება, კონკრეტული ტექნიკური და პროგრამული საშუალებით საავტომობილო მომსახურების საიმედოობის განვითარებაზე ორიენტირებული მოდელის

შექმნა, რათა დაგვეპროექტებინა ტექნიკურად აუცილებელი და ეკონომიურად გამართლებული, ავტომობილის ტელემატიკური ინფორმაციის შეგროვების ოპტიმალური ვარიანტი. ტელემატიკური ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ავტომობილის მართვის პროცესის დროში მიმდინარეობის შესწავლა, ტექნიკური და პროგრამული შეცდომების გათვლა და გამოვლენა. ეს პროცესი მათემატიკური მეთოდებით ხორციელდება, ამიტომ მოძრაობის ყველა სისტემა აღიწერება მათემატიკური მოდელით. სასურველი მოძრაობის პროცესის განხორციელება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით წარმოადგენს ოპტიმალურ პროცესს, რომელიც საუკეთესო იქნება ავტომობილის სწორი ექსპლუატაციისათვის.

ჩვენს მიერ განხორციელებულ კვლევაში გამოყენებული იქნა შემთხვევითი პროცესების კვლევის მეთოდები, ავტომობილის ცვეთის გაანგარიშების მეთოდები, საიმედოობის გაანგარიშების მეთოდები. ნაშრომის სიახლეს კი წარმოადგენს ავტომობილის საიმედოობის კვლევა, არსებული სისტემების ქცევის შეფასება და ვერიფიკაცია მართვის მეთოდების გამოყენებით.

Android Studio პროგრამაში შექმნილია ავტომობილის ჩაშენებული სისტემების შეცდომების აღმოჩენის აპლიკაცია ავტოლაინი“, რომელიც ვებ-ზე დაფუძნებულ სისტემას წარმოადგენს.

11	ი.მოსაშვილი, თ.ლომინაძე, ს.ონიანი	პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა “რობოტი ხელის” მართვისათვის. ჩაშენებული სისტემები და ტენდენციები ინჟინერიის სწავლებაში, საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები	პირველი გამოცემა ISBN 978-80-558-1040-9	ნიტრა, კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტი	გვ.140-143 (4)
----	-----------------------------------	---	--	---	----------------

ანოტაცია

სტატიაში განხილულია რობოტი “ხელის” მაკეტის შემუშავების და შევქმნის მეთოდები და საშუალებები, რომელიც იმართება Arduino-ს მეშვეობით. რობოტ “ხელს” შეუძლია თითების მოძრაობა და საგნის დაჭერა. მისი მართვა ხორციელდება მეორე ხელის მეშვეობით. ხელის მაკეტის დიზაინი ავტორთა მიერაა შემუშავებული და დაბეჭდილი 3D პრინტერზე.

Arduino-ს დაფის პროგრამირება და მისი გამოყენება ობიექტების მართვაში ძალიან მარტივია, ასევე მისი ღირებულება არ არის ძვირი და საერთო ჯამში, ჩვენ მივიღეთ მარტივად მართვადი და იაფი რობოტი “ხელი”.

12	Archil Prangishvili, Besarion	Identification of nonlinear dynamic systems with	Preprints of the IFAC Conference	Troyes, France	pp. 608-613
----	-------------------------------	--	----------------------------------	----------------	-------------

	Shanshiashvili, Zurab Tsveraidze	feedback of manufacturing processes	on Manufacturing Modelling, Management, and Control, MIM '2016		
13	Archil Prangishvili, Besarion Shanshiashvili, Zurab Tsveraidze	Identification of nonlinear dynamic systems with feedback of manufacturing processes	<i>IFAC-PapersOnLine. Volume 49, Issue 12, Pages 1-1962,2016.</i>		pp. 580-585

განიხილება დადებითი უკუკავშირით ფუნქციონირებადი არაწრფივი სისტემების სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაცია უწყვეტ ბლოკურად-ორიენტირებული მოდელის სიმრავლეზე. შემოთავაზებული სტრუქტურული იდენტიფიკაციის მეთოდი დამყარებულ მდგომარეობაში ეფუძნება სისტემის შემავალი და გამომავალი ცვლადების დაკვირვებებს შემავალი პერიოდული ზემოქმედებისას. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება დამყარებულ და გარდამავალ მდგომარეობებში უმცირესი კვადრატების მეთოდით. სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაციის ალგორითმები გამოკვლეულია როგორც თეორიული ანალიზის ისე კომპიუტერული მოდელირების საშუალებით. შემოთავაზებული იდენტიფიკაციის მეთოდით დადგენილია სამთო-მეტალურგიული წარმოების გამამდიდრებელ ფაბრიკის ჩაკეტილი ციკლით მომუშავე დოლური წისქვილის მოდელი.

14	Jandieri G., Diasamidze Zh., Mchedlishvili N., Nemsadze I.	Statistical Characteristics of Multiple Scattered Electromagnetic Waves in the Collision Magnetized Turbulent Plazma	“WORLD COMP’16, CSC’16 , , July 25-28, 2016	Las Vegas, Nevada, Usa	6
----	---	--	---	------------------------	---

ანოტაცია

მოდელირებული მდორე შემფოთებების მიახლოებაში დიფრაქციული ეფექტების გათვალისწინებით განიხილება მრავალჯერად გაბნეული ტალღების სივრცითი სპექტრის თავისებურებები. გამოთვლილია კორელაციური ფუნქციები და ფაზის ფლუქტუაციების დისპერსია ელექტრონების კონცენტრაციის ფლუქტუაციების ნებისმიერი კორელაციური ფუნქციისათვის. ანალიზურად და რიცხობრივად შესწავლილია გაბნეული “ჩვეულებრივი” და “არაჩვეულებრივი” ტალღების სტატისტიკური მომენტები და “ორბურცობიანი ეფექტი”. მოდელირება განხორციელებულია სისტემა Matlab-ის გამოყენებით.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თამაზ ობგაძე	МАТЕМАТИЧЕСКОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ДИНАМИКИ ИНДЕКСА САМОБЫТНОСТИ НАЦИОНАЛЬНЫХ ОБРАЗОВАНИЙ	Тезисы докладов, ДВАДЦАТЬ ТРЕТЬЯ МЕЖДУНАРОДНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ МАТЕМАТИКА. КОМПЬЮТЕР. ОБРАЗОВАНИЕ г. ДУБНА, 25–30 января 2016 г. E-mail: mce@mce.su Сайт: www.mce.su
ანოტაცია			
<p>ნაშრომში შესწავლილია ქართული ხასიათის თავისებურებები. აქედან გამომდინარე, შემოტანილია თვითმყობადობის ინდექსის ცნება. აგებულია შესაბამისი მათემატიკური მოდელი და შესწავლილია ინდექსის დროითი დინამიკა. ნაჩვენებია, რომ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების არსებული მონაცემები, იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ თუ არ იქნა მიღებული კარდინალური ზომები, საქართველო ჩაიძირება ლიბერალიზმის მორალურ ჭაობში, რაც დააკარგვინებს ქვეყანას თვითმყობადობას.</p>			
2	ს.ხუციშვილი, დ.გორგოძე, ნ. ხარაძე	სტიმულირების ბაზური მექანიზმები ორდონიან აქტიურ სისტემებში	83-ე სტუდენტური კონფერენცია. 2015 წ.
ანოტაცია			
<p>აქტიური სისტემა იგივე ორგანიზაციული სისტემაა, მაგრამ ასეთი სისტემის მართვის პროცესი განიხილება როგორც მართვის ობიექტის, მართვის სუბიექტის და გარემო ფაქტორების ურთიერთკავშირების ერთიანი სისტემა. ორდონიანი მართვის სისტემა განიხილება მართვის მაღალი და შუალედური დონეების სახით. სტიმულირება გულისხმობს მართვის კონტურში მატერიალურ სტიმულირებას, შესაბამისი ბაზური მექანიზმების გათვალისწინებით.</p>			

ბ) უცხოეთში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. მაჭარაშვილი	Application of the dynamic data analysis in the real time monitoring of high dam body behavior	ლონდონი, 23-26 მაისი 2016
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>მოხსენება მიეძღვნა მაღლივი კაშხლების დინამიკური ქცევის მონიტორინგისათვის მონაცემთა ანალიზის თანამედროვე არაწრფივი მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას. კერძოდ ენგურის კაშხლის დეფორმაციების/ვიბრაციების დროითი მწკვრივების წრფივი და არაწრფივი მეთოდებით დამუშავების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ აღნიშნული მეთოდები სასარგებლოა ნაგებობის სტაბილურობის საკითხის შესასწავლად.</p>			
2	თ. მაჭარაშვილი	Methods of nonlinear data analysis for quantitative evaluation of dynamics of complex natural processes	ტოკიო, 15 აგვისტო, 2016
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>მოხსენება მიეძღვნა მონაცემთა ანალიზის თანამედროვე მეთოდების განვითარებაში მიღწეულ ბოლოდროინდელ წარმატებებს. მეთოდების თეორიული საფუძვლების მიმოხილვის გარდა განხილული იქნა მათ პრაქტიკული გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები. განხილული იქნა მონაცემთა ანალიზის თანამედროვე წრფივი და არაწრფივი მეთოდების გამოყენების კონკრეტული მაგალითები სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი პროცესების კვლევისათვის.</p>			
3	ი.მოსაშვილი, ს.ონიანი	პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა “რობოტი ხელის” მართვისათვის	2016 წლის 12 სექტემბერი, ნიტრა, სლოვაკეთი
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>მოხსენება ეხებოდა რობოტი “ხელის” მაკეტის შემუშავების და შექმნის მეთოდებსა და საშუალებებს, რომელიც იმართება Arduino-ს მეშვეობით. რობოტ “ხელს” შეუძლია თითების მოძრაობა და საგნის დაჭერა. მისი მართვა ხორციელდება მეორე ხელის მეშვეობით. ხელის მაკეტის დიზაინი ავტორთა მიერაა შემუშავებული და დაბეჭდილი 3D პრინტერზე. Arduino-ს დაფის პროგრამირება და მისი გამოყენება ობიექტების მართვაში ძალიან მარტივია, ასევე მისი ღირებულება არ არის ძვირი და საერთო ჯამში, ჩვენ მივიღეთ</p>			

მარტივად მართვადი და იაფი რობოტი “ხელი”.			
4	ი.მოსაშვილი/ს.მუხაშავერია	ჭკვიანი სახლის განათების რეგულირების ავტომატური მართვის სისტემა.	2016 წლის 12 სექტემბერი, ნიტრა, სლოვაკეთი
ანოტაცია			
<p>მოსხენება ეხებოდა ავტორთა მიერ შექმნილ ისეთი “ჭკვიანი სახლის” მაკეტ, რომლის განათების სისტემა მოქმედებს სახლში ფარდების მდგომარეობაზე, ის იმართება გარემოში არსებული სინათლის საფუძველზე. მართვა ხორციელდება სენსორული სისტემისა და ArduinoMega 2560 კომბინაციის საშუალებით. აღნიშნული “ჭკვიანი სახლის” მოდელი მარტივად მართვადი, საიმედო და იაფია, რადგან მართვა ხდება პროგრამულად და მასში შემაჯავლი კომპონენტების ღირებულება ძალიან დაბალია.</p>			
5	ი.მოსაშვილი/ნ.ყრუაშვილი	ჭკვიანი პარკირების მართვის პრობლემები PASYARD სისტემის მაგალითზე.	2016 წლის 12 სექტემბერი, ნიტრა, სლოვაკეთი
ანოტაცია			
<p>მოსხენება ეხებოდა პარკირების სისტემის პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზები. პარკირების პრობლემის გადასაწყვეტად დაპროექტებულია “ჭკვიანი პარკირების სისტემა PASYARD”. მოცემული სისტემა მძღოლს აწვდის ინფორმაციას ავტოსადგომის შესახებ, სად არის თავისუფალი ადგილები პარკირებისათვის და რამდენია ის. სისტემის მართვა ხორციელდება პარკირების ტერიტორიაზე სენსორული სისტემის საფუძველზე, Arduino დაფის საშუალებით. აღნიშნული პარკირების სისტემის პროტოტიპი მოქნილი, კომფორტული და მარტივად გასაგებია, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელზე.</p>			
6	Archil Prangishvili, Besarion Shanshiashvili, Zurab Tsveraidze	Identification of nonlinear dynamic systems with feedback of manufacturing processes	June 28-30, 2016, Troyes, France. IFAC Conference on Manufacturing Modelling, Management, and Control, MIM '2016.
ანოტაცია			
<p>განიხილება დადებითი უკუკავშირით ფუნქციონირებადი არაწრფივი სისტემების სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაცია უწყვეტ ბლოკურად-ორიენტირებული მოდულების სიმრავლეზე. შემოთავაზებული სტრუქტურული იდენტიფიკაციის მეთოდი დამყარებულ მდგომარეობაში ეფუძნება სისტემის შემაჯავლი და გამომავალი ცვლადების დაკვირვებებს შემაჯავლი პერიოდული ზემოქმედებისას. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება დამყარებულ და გარდამავალ მდგომარეობებში უმცირესი კვადრატების მეთოდით. სტრუქტურული და პარამეტრული იდენტიფიკაციის ალგორითმები გამოკვლეულია როგორც თეორიული ანალიზის ისე კომპიუტერული</p>			

მოდელირების საშუალებით. შემოთავაზებული იდენტიფიკაციის მეთოდით დადგენილია სამთო-მეტალურგიული წარმოების გამამდიდრებელ ფაბრიკის ჩაკეტილი ციკლით მომუშავე დოლური წისქვილის მოდელი.

7	Jandieri G., Diasamidze Zh., Mchedlishvili N., Nemsadze I.	Statistical Characteristics of Multiple Scattered Electromagnetic Waves in the Collision Magnetized Turbulent Plazma	CSC'16 (the 11 th International Conference of Scientific Computing): "Numerical methods, Approximation and estimation techniques, Optimization methods", July 25-28, Las Vegas, Nevada, Usa, 2016.
---	---	--	---

ანოტაცია.

მოსხენებაში წარმოდგენილია ელექტრომაგნიტური ტალღების სივრცითი სპექტრის თავისებურებების კვლევის შედეგები. შესწავლილია გაბნეული ტალღების სტატისტიკური მომენტები, გამოკვლეულია "ორბურცობიანი ეფექტი" პლაზმური არაერთგვაროვნების ანიზოტროპული გაუსური კორელაციური ფუნქციისათვის იონოსფეროს F ფენის პოლარული არისათვის ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენებით.

8	Nino Pailodze, Malkhaz Sulashvili, Vladimer Kekenadze, Tea Khutsishvili, Irma Makharashvili, Aleksandre Kekenadze.	The Decision-Making Mechanisms of Tax Regulations.	18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology. International Science Index Vol: London, United Kingdom, May 23-25, 2016.
---	---	--	--

ანოტაცია

ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ეროვნული შემოსავალი. ეროვნული შემოსავლის განაწილების, გადანაწილების და ბიუჯეტის შემოსავლების შექმნის ძირითად მეთოდად სახელმწიფო გადასახადებს, სესხებს და ემისიას იყენებს. გადასახადები წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის გადანაწილების მთავარ იარაღს, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ ქვეყნის ნაერთ ბიუჯეტში თავს იყრის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

საგადასახადო სისტემები ბიუჯეტის შევსების ფისკალური ფუნქციის გარდა წარმატებით ახორციელებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ ფუნქციებს.

1	Olga Khutsishvili, Giorgi Sulashvili, Vladimer Kekenadze, Bela Kotenashvili, Tsiuri Phkhakadze, Besarion Tsikhelashvili.	The Tourism in the Regional Development of South Caucasus.	18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology. International Science Index Vol: London, United Kingdom, May 23-25, 2016.
<p style="text-align: center;">მოსხენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება; „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება, მაასტრიხტის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საფუძველზე; ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მსოფლიო თანამეგობრობის მრავალ ქვეყანასთან; სამხრეთ კავკასიის რეგიონის მსოფლიო ბაზარში შესასვლელად, საერთაშორისო ინტეგრაციის მიმართულებების განვითარებით საკმარისი პირობა შეიქმნა.</p> <p>საქართველოს ადგილის გასარკვევად სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურ პოლიტიკაში, ჩვენი აზრით, საჭიროა, გამოვიყენოთ საქართველოს ორი დონის, ორი სახის შეხედულება. პირველი, ეს არის შეხედულება საქართველოზე მთლიანად, როგორც გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილეობაზე, ხოლო მეორე, საქართველოზე როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკურ სივრცეში განლაგებულ ქვეყნებზე. ასეთი მიდგომებით გამოიკვეთება საქართველოს ადგილი ორ განზომილებაში- გლობალურ ეკონომიკაში და რეგიონულ ეკონომიკაში.</p>			

ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტი - 807

დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პროფ. ირინე გოცირიძე

დეპარტამენტის პერსონალური შემადგენლობა:

1. პროფესორი ირინე გოცირიძე;
2. პროფესორი ლევან ლაზარაშვილი;
3. პროფესორი ზვიად ღურჭკაია;
4. პროფესორი ელგუჯა ყუბანიევი;
5. ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ინვია;
6. ასისტენტ პროფესორი გიორგი გიგილაშვილი;
7. ასისტენტ პროფესორი ანა ფიცხელაური;

8. უფროსი მასწავლებელი ზვიად მგალობლიშვილი;
9. უფროსი მასწავლებელი მარინა მესხია;
10. უფროსი მასწავლებელი მარიამ წიკლაური;
11. დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ხათუნა გოგუაძე;
12. დეპარტამენტის სპეციალისტი ნანა კირვალიძე;

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	"A UNIVERSAL TEST OF MAGNETO SENSITIVITY" ბიოსამედიცინო ინჟინერია	INTERNATIONAL SCIENCE AND TECHNOLOGY CENTER (ISTC) Project#G-2094/2014-2016	პროექტის მენეჯერი - ნიკოლოზ ინგია	1. სტუ 2. ჰელიომანტოკარდიოლოგიური სამეცნიერო და პრაქტიკული ცენტრი 3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
<p>ტექნიკური უნივერსიტეტის მონაწილეობით პროექტის ფარგლებში დამუშავდა გეომანტური ქარიშხლების კომპენსაციის სისტემა, რომელიც დაინერგა ჰელიომანტურ სამეცნიერო და პრაქტიკულ ცენტრში (ქ.თბილისი). შექმნილი სისტემა, იძლევა გეომანტური ქარიშხლების კომპენსაციის და მოდელირების საშუალებას. ამ სისტემის გამოყენებით იქნა შემუშავებული მაგნიტომგრძობიარობის განსაზღვრის უნივერსალური ტესტი. პროექტი დასრულდა და მიიღო დადებითი შეფასება.</p>				

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ე.კუბანეიშვილი მ.მესხია	ნეიროქსელური ტექნოლოგიები STATISTICA სისტემის ბაზაზე	თბილისი, სტუ, 2016 http://gtu.ge/books	59

2	ე.ყუბანიშვილი	მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური მეთოდები	თბილისი, სტუ, 2016 http://gtu.ge/books	73
3	ი. გოცირიძე, გ.გივილაშვილი	ბიოსამედიცინო ინჟინერია ნაწ.2 სახელმძღვანელო მომზადდა გრანტის ფარგლებში: BME-ENA Biomedical Engineering Education Tempus Initiative in Eastern Neighboring Area (Project number: 543904-TEMPUS-1-2013-1-GR-TEMPUS-JPCR)	თბილისი, სტუ, 2016	130

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

ანოტაცია 1 - ნეირონული ქსელები ფართოდ გამოიყენება ყველგან, სადაც საჭიროა პროგნოზირების, კლასიფიკაციის, კლასტერიზაციის, ოპტიმიზაციის, წარმოების პროცესების მართვის და სხვა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა. ნეიროქსელური ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებული იყოს დამოუკიდებლად ან მონაცემთა ანალიზის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, სადაც ის წარმოადგენს მნიშვნელოვან დანამატს.

ანოტაცია 2 - მოცემული სახელმძღვანელო წარმოადგენს ბიოსტატისტიკის (<http://gtu.ge/books/biostatistika.pdf>) სალექციო კურსის გაგრძელებას, სადაც ბიოსტატისტიკიდან განსხვავებით, სადაც განიხილება მხოლოდ ორი ცვლადის სტატისტიკური მეთოდები, აქ წარმოდგენილია მრავალი ცვლადის ის სტატისტიკური მეთოდები, რომლებიც უფრო ხშირად გამოიყენებიან ბიოსამედიცინო ინფორმაციის დამუშავებისათვის. სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის მაგისტრანტების და დოქტორანტებისათვის.

ანოტაცია 3 - სახელმძღვანელო საშუალებას იძლევა თანმიმდევრულად იყოს შესწავლილი სამედიცინო-სადიაგნოსტიკო აპარატურის ის ჯგუფი რომელიც სამედიცინო აპარატურის კლასიფიკაციაში ცნობილია, როგორც „აპარატურა ორგანოების და ქსოვილების ვიზუალიზაციისთვის“. ის მოიცავს დიდ კლასს, რომელშიც გაერთიანებულია რენტგენული, ულტრასონოგრაფიული, მაგნიტურ რეზონანსული ხელსაწყოები და სისტემები. დამხმარე სახელმძღვანელოს გამოყენება შესაძლებელია ბიოსამედიცინო ინჟინერიის, სამედიცინო ფიზიკის საინჟინრო მიმართულებების, აგრეთვე სამედიცინო პროფილის სტუდენტებისთვის და ზოგადად თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის და ტექნოლოგიებით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლ ობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.წიკლაური ზ.დურწკაია	"მობილური ტელემედიცინის სადგურის პროგრამული უზრუნველყოფა". ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია; საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტუალი".	N31	თბილისი, 2016	204-207 გვ.
2	მ.წიკლაური ი.გოცირიძე ზ.დურწკაია	ციფრული სტეთოსკოპის დამუშავება მობილური ტელემედიცინის სადგურისათვის; ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია; საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტუალი";	N32	თბილისი, 2016	196-199 გვ.
<p style="text-align: center;">ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>რეზიუმე1 –ნაშრომში წარმოდგენილია მობილური ტელემედიცინის სადგურის პროგრამული უზრუნველყოფა. ეს პროგრამა შექმნილია Visual Studio-ს გარემოში. მისი მიზანია მობილური ტელემედიცინის სადგურის მუშაობის ხარისხის ამაღლება. მომხმარებლისათვის მასთან მუშაობა მარტივია და არ მოითხოვს კომპიუტერის ცოდნის მაღალ კვალიფიკაციას. პროგრამა, ტელემედიცინის სადგურის საშუალებით, აკავშირებს აბონენტს კონსულტანტთან, აადვილებს სწორი სამკურნალო სტრატეგიის შერჩევას.</p> <p>რეზიუმე 2 – ნაშრომში წარმოდგენილია ციფრული სტეთოსკოპი, რომელიც მობილური ტელემედიცინის სადგურის პერიფერიული სადიაგნოსტიკო მოწყობილობაა, რომელიც გამოიყენება პაციენტის გულის, ფილტვების, სისხლძარღვების და სხვა ორგანოების ხმების აუსკულტაციისათვის (მოსმენისათვის), სპეციალური პროგრამის საშუალებით შესაძლებელია მიღებული ხმის ჩაწერა, დამუშავება, გაძლიერება, ფილტრაცია, ხმის ვიზუალიზაცია, შენახვა, on-line რეჟიმში გაგზავნა.</p>					

II.2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ- ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	P.J. Kervalishvili I.A. Gotsiridze	Chapter11, „Oscillation and Optical Properties of Viruses 2 and Other Pathogenic Microorganisms“ Nuclear Radiation Nanosensors and Nanosensory Systems, NATO Science for Peace and Security Series B: Physics	DOI 10.1007/978- 94-017-7468- 0_11	Dordrect, Nitherlands გამომცემლობს © Springer	pp. 169-186
<p style="text-align: center;">ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>ჯანდაცვაში დიაგნოზირების ადრეულ სტადიაზე დასმისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაავადებების გამომწვევი ვირუსული ნაწილაკების პოტენციალის სწრაფი, მიზანდასახული და სელექტიური აღმოჩენა. სპექტროსკოპული და ულტრა მოკლე პულსაციის ლაზერებში გამოყენებული ოპტიკური მეთოდები უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა სხვადასხვა ვირუსების და პათოგენური მიკროორგანიზმების ოსცილაციური პროცესების პარამეტრების შესასწავლად. ეს შესწავლა ეს ეფუძნება მონოქრომატიული სინათლის არელასტიურ გაბნევას, ჩვეულებრივ ლაზერის ხილულ, თითქმის ინფრაწითელ ან ულტრაიისფერი დიაპოზონთან ახლის მდგომ სეგმენტში. ლაზერული სინათლე ურთიერთქმედებს მოლეკულურ რხევებთან, ფონონებთან ან სისტემაში არსებულ სხვა აგზნებებთან, რაც იწვევს ლაზერული ფოტონების გადაადგილებას, ზევით ან ქვევით. ენერგიის ცვლილებს კი გვაწვდის ინფორმაციას სისტემის ვიბრაციული თვისებების შესახებ.</p>					

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	მარიამ წიკლაური	ტელემედიცინის მობილური სადგურის დამუშავება	თბილისი, 2016 84-ე დია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ტექნიკური უნივერსიტეტი"
<p>მოხსენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში</p> <p>წარმოდგენილი მობილური ტელემედიცინის სადგურის პროგრამული უზრუნველყოფა. ეს პროგრამა შექმნილია Visual Studio-ს გარემოში. მისი მიზანია მობილური ტელემედიცინის სადგურის მუშაობის ხარისხის ამაღლება. მომხმარებლისთვის მასთან მუშაობა მარტივია და არ მოითხოვს კომპიუტერის ცოდნის მაღალ კვალიფიკაციას. პროგრამა, ტელემედიცინის სადგურის საშუალებით, აკავშირებს აბონენტს კონსულტანტთან, აადვილებს სწორი სამკურნალო სტრატეგიის შერჩევას. ასევე დამუშავებულია პერიფერიული აპარატურის სახით ციფრული სტეთოსკოპ-ფონენდოსკოპი.</p>			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ირინე გოცირიძე	Biomedical Engineering Education in Georgia: Experience And Challenges	თეპერანი, 2016
<p>მოხსენებათა ანოტაცია ქართულ ენაზე</p> <p>საქართველოში ბიოსამედიცინო ინჟინერიის სფეროში განათლების მიღების გამოცდილება, მოქმედი აკადემიური პროგრამები და მათი განვითარების შესაძლებლობები პროგრამების ინტერნაციონალიზაციის და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პერსპექტივები.</p>			

გამოთვლითი მათემატიკის დეპარტამენტი – 808

დეპარტამენტის უფროსი პროფ. ალექსანდრე ლაშვი

აკადემიური პერსონალი:

1	ლაშვი ალექსანდრე არსენის ძე	პროფესორი
2	ქადეიშვილი თორნიკე ვასილის ძე	პროფესორი
3	ტარიელაძე ვაჟა იზეთის ძე	პროფესორი
4	კვარაცხელია ვახტანგ ვარლამის ძე	პროფესორი
5	მაგრაქველიძე დალი გურამის ას	ასოც. პროფ.
6	გულუა დავით ვლადიმერის ძე	ასოც. პროფ.
7	ბიწაძე რუსუდან გიორგის ას	ასოც. პროფ.
8	მამუჩიშვილი ალექსანდრე იოსების ძე	ასოც. პროფ.
9	ღურჯვია ფიქრია ამბაკოს ას	ასოც. პროფ.
10	გიორგობიანი გიორგი ჯიმშერის ძე	ასოც. პროფ.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	V. Kvaratskhelia, V. Tarieladze,	Characterization of γ -Subgaussian Random Elements	July 2016, Volume 216,	USA, Springer	pp. 564–568 (5 გვერდი)

	N. Vakhania	in a Banach Space. Journal of Mathematical Sciences	Issue 4		
2	დალი მაგრაქველიძე	ფინანსური კრიზისები და მისი წარმოქმნის მოდელები	№7, 2016	თბილისი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	6

1. ვთქვათ, X - ბანახის სივრცე და X^* კი მისი შეუღლებული სივრცეა. ξ შემთხვევით ელემენტს, მნიშვნელობებით X - ბანახის სივრცეში, ეწოდება γ -სუბგაუსის (ან T -სუბგაუსის) შემთხვევითი ელემენტი, თუ არსებობს X -ში მნიშვნელობების მქონე ცენტრირებული შემთხვევითი ელემენტი η ისეთი, რომ ყოველი $x^* \in X^*$ -სათვის სრულდება უტოლობა $\mathbb{E} e^{(x^*, \xi)} \leq \mathbb{E} e^{(x^*, \eta)}$.

ნაშრომში:

დამტკიცებულია γ -სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტების დახასიათება სეპარაბელური ჰილბერტის სივრცის შემთხვევაში; აღწერილია γ -სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტები ტიპი 2-ის მქონე რეფლექსურ ბანახის სივრცეებში.

2. ფინანსურ ბაზარზე კრიზისული სიტუაციის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი ფაქტორების (ე.წ. კრიზისის „წინმსწრები“ ინდიკატორების) ძებნა ეკონომიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით აქტიურად დაიწყო 90 წლებში.

თეორიული მუშაობის მიმართ ემპირიული გამოკვლევებში შეფერხებების წარმოქმნა შეიძლება აიხსნას ორი მიზეზით. პირველი, მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების საშუალებით კრიზისის მიზეზების ანალიზი მოითხოვს რიგი ხანგრძლივი დაკვირვებების არსებობას. მეორე, წინასწარ აუცილებელი იყო გამოკვლევების შესაბამისი მეთოდის შემუშავება.

ბ) დადგენილია დაზუსტებული მუდმივები ერთწონიან უტოლობებში მაკეჰაუპტის ტიპის მახასიათებლების ტერმინებში ისეთი ჯერადი ინტეგრალური ოპერატორებისათვის, როგორცაა სინგულარული ინტეგრალები და პოტენციალები ნამრავლიანი გულებით, ძლიერი მაქსიმალური ფუნქციები და სხვა. ანალოგიური ამოცანები შესწავლილია ცალმხრივი ჯერადი ინტეგრალური გარდაქმნებისათვის.

გ) დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები რომლებიც უზრუნველყოფს წონიანი გულიანი ოპერატორის შემოსაზღვრულობას ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში სივრცის მაჩვენებელზე ლოკალური ლოგარითმული პირობისა და უსასრულობაში ე.წ. კლებადობის პირობის ქვეშ. მიღებულია აღნიშნულ ოპერატორთა არაკომპაქტურობის ზომის ორმხრივი შეფასებები. მომზადდა მონოგრაფიის 2 ტომი, რომელიც გამოქვეყნდა Birkäuser/ Springer-ში (სულ 1003 გვერდი).

№ 9

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
9	მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრალ-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა ხელშეკრულების ნომერი CNRS / SRNSF 2013, 04/26 (10 აპრილი, 2014 – 10 აპრილი, 2016)	საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი და შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ჯანგველაძე (საქართველოს მხრიდან) ფ. ჰექტი (საფრანგეთის მხრიდან)	თ. ჯანგველაძე ზ. კილურაძე საფრანგეთის მხრიდან: ფ. ჰექტი ო. პირონაუ ი. დანაილა
	მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული არაწრფივი დიფერენციალური და ინტეგრალ-დიფერენციალური მოდელებისათვის შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების თვისებები. კერძოდ, ამ ამოცანების ამონახსნების არსებობა, ერთადერთობა და ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. განხილულია როგორც ერთგანზომილებიანი, ისე მრავალგანზომილებიანი შემთხვევები. აგებული და გამოკვლეულია შესაბამისი დისკრეტული ანალოგები. დამტკიცებულია ალგორითმების კრებადობის თეორემები. აგებულ ალგორითმებზე დაყრდნობით შექმნილია პროგრამული პაკეტები. ჩატარებულია შესაბამისი რიცხვითი ექსპერიმენტები და მათი ანალიზი.			

№ 10

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
10	კრებადობის შეთანხმებული შეფასებები მაღალი რიგის სხვაობებით დაზუსტების მეთოდში ხელშეკრულების ნომერი FR/406/5-106/12 (15 აპრილი, 2013 – 15 აპრილი, 2016)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გივი ბერიკელაშვილი	გივი ბერიკელაშვილი ბინა მიდოდაშვილი

პროექტის მიზანს წარმოადგენს ორსაფეხურიანი სასრულ-სხვაობიანი მეთოდის დაფუძნება ელიფსური ტიპის განტოლებებისა და განტოლებათა სისტემებისათვის დასმული სხვადასხვა ამოცანისათვის. მეთოდის არსი ასეთია: დიფერენციალური ამოცანის აპროქსიმაცია ხდება მარტივი, ორდინალური სიზუსტის სხვაობიანი სქემით; მიღებული ამონახსნით ვახდენთ სხვაობიანი სქემის მარჯვენა მხარის სათანადო კორექციას და იმავე ბადეზე ვხსნით კორექტირებულ სქემას. შედეგად მიღებული ამონახსნი მაღალი რიგის სიზუსტისაა.

საანგარიშო პერიოდში აგებული და გამოკვლეული იყო სხვაობიანი სქემები ცვლადკოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებისათვის დასმული დირიხლეს ამოცანისთვის და პუასონის განტოლებისათვის დასმული ბიწამე-სამარსკის ტიპის არალოკალური ამოცანის შემთხვევაში. მიღებულია ზუსტი ამონახსნის სიგლუვესთან შეთანხმებული კრებადობის შეფასებები სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეებში.

№ 11

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
11	წერტილოვანი სიმრავლეების გეომეტრიულ- კომბინატორული თვისებები და მათი გამოყენებები ხელშეკრულების ნომერი YS15_2.1.1_31 (29 დეკემბერი, 2015 –	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თენგიზ ტეტუნაშვილი	თენგიზ ტეტუნაშვილი

	29 დეკემბერი, 2017 წწ			
<p>ა) დადგენილია სიმრავლეთა აბსტრაქტულად მოცემული ოჯახების გეომეტრიული რეალიზაციების ალგორითმები სასრულგანზომილებიან R^n სივრცეებში.</p> <p>ბ) შესწავლილია R^n სივრცეებში სიმრავლეთა დამოუკიდებელი ოჯახების ამოხსნეილი კომპაქტებით რეალიზაციის საკითხი.</p> <p>გ) დადგენილია კავშირები სიმრავლეთა დამოუკიდებელი ოჯახების ამოხსნეილი კომპაქტებით R^2 და R^3 სივრცეებში რეალიზაციისას წარმოქმნილი კონსტიტუენტების სტრუქტურასა და სიმრავლეთა ოჯახის სიმძლავრეს შორის. მიღებულია ზუსტი შეფასებები.</p>				

№ 12

№	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
12	ტოპოლოგიურ სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა (კო)ჰომოლოგიური ფუნქტორები და განზომილების ტიპის ფუნქციები და მათი გამოყენებანი ხელშეკრულების ნომერი FR/233/5-103/14 (31 მარტი, 2015 – 31 მარტი, 2018 წწ)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვლადიმერ ბალაძე	ვლადიმერ ბალაძე ლეონარდ მძინარიშვილი ანზორ ბერიძე რუსლან ცინაძე
<p>ა) ნაჩვენებია მოკლე ზუსტი მიმდევრობის არსებობა, რომელშიც მონაწილეობს უწყვეტი სინგულარული კოჰომოლოგია კოეფიციენტებით ფიბრაციების შებრუნებული სისტემის ზღვარში, მოცემული შებრუნებული სისტემის წევრებში კოეფიციენტებით აღებული უწყვეტი სინგულარული კოჰომოლოგიების შებრუნებული სპექტრის ზღვარი და ამ ზღვრის პირველი წარმოებულნი.</p> <p>ბ) კომპაქტურ სივრცეთა და მეტრიკულ სივრცეთა ნაწილობრივ უწყვეტი ალექსანდერ-სპენიერის კოჰომოლოგიებისათვის არსებობს ზუსტი კოჰომოლოგიური მიმდევრობა, როცა q მატია ან ტოლი ორზე და კოეფიციენტთა ჯგუფებს შორის უწყვეტი ჰომომორფიზმი არის ფიბრაცია.</p>				

IV პუბლიკაციები:

1) საქართველოში

მონოგრაფია

№	ავტორი/ ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Buchukuri, O. Chkadua, D. Natroshvili,	Mathematical problems of generalized thermo-electro- magneto-elasticity theory	Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics, Volume 68, 2016, 1-166 (თბილისი, თსუ რაზ- მაძის მათემატიკის ინსტიტუტი)	pp. 166
ანოტაცია				
<p>მონოგრაფია ეძღვნება გრინ-ლინდსეის მოდელთან ასოცირებული განზოგადებული თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის ძირითადი, შერეული და ბზარის ტიპის სამგანზომილებიანი საწყის-სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევას. განხილული განზოგადებული მოდელის არსებით თავისებურებას წარმოადგენს სითბოს გავრცელების სასრული სიჩქარე. ნაშრომში შესწავლილია დინამიკის საწყის-სასაზღვრო ამოცანების ერთადერთობა და ჩატარებულია დინამიკის ამოცანებიდან ლაპლასის გარდაქმნით მიღებული ფსევდო-რხევის შესაბამისი სასაზღვრო ამოცანების ანალიზი. განხილული სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობა შესწავლილია პოტენციალთა მეთოდით შესაბამის სობოლევ-სლობოდეცის (W_p^s ბესელის პოტენციალთა H_p^s და ბესოვის ($B_{p,q}^s$) სივრცეებში. გამოკვლეულია თერმო-მექანიკური და ელექტრო-მაგნიტური ველების სიგლუვის თვისებები და სინგულარობები ბზარის კიდებისა და იმ წირების მახლობლობაში, რომელთა სხვადასხვა მხარეს დასმულია განსხვავებული ტიპის სასაზღვრო პირობები.</p>				

№	ავტორი/ ავტორები	სახელმძღვანელოს სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	თ. შარვაშიძე ზ. ქვათაძე ა. კირთაძე გ. ფანცულაია	მათემატიკური სტატისტიკა ბიზნესსა და ეკონომიკაში	თბილისი „უნივერსალი“ 2016	248
ანოტაცია				
<p>წიგნში გადმოცემულია აღწერითი სტატისტიკის ელემენტები, შეფასებათა თეორია, წერტილოვანი შეფასებები და ნდობის ინტერვალები და მათი გამოყენება ეკონომიკურ საკითხებში.</p>				

მოყვანილია მაგალითები, რომლებშიც მარკეტინგის სხვადასხვა ამოცანები გადაჭრილია ჰიპოთეზათა შემოწმების თეორიის საშუალებით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Buchukuri, O. Chkadua, D.Natroshvili,	Mixed Boundary Value Problems of Pseudo-oscillations of Generalized Thermo-Electro-Magneto-Elasticity Theory for Solids with Interior Cracks	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.09.001.	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	23
ანოტაცია					
<p>გამოკვლეულია განზოგადებული თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის თეორიის შერეული ამოცანები, როდესაც სხეული შეიცავს შიგა ბზარს. პოტენციალთა მეთოდისა და ფსევდოდირექტორული განტოლებების თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. გაანალიზებულია ამონახსნების სიგლუვისა და ასიმპტოტური ყოფაქცევის თვისებები სინგულარული წირების მიდამოში. შესწავლილია სინგულარობის მაჩვენებლების დამოკიდებულება მატერიალურ მუდმივებზე. გაანალიზებულია რხევადი სინგულარობების შემთხვევები.</p>					
2	T.Kiria, G.Pantsulaia	Calculation of Lebesgue integrals by using uniformly distributed sequences	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute Volume 170, Issue 3, December 2016, Pages 402–409 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.09.001.	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	8
ანოტაცია					
კოლმოგოროვის დიდ რიცხვთა გაძლიერებული კანონის ერთი ვერსია არის გამოყენებული					

ბახა(Baxa) და შოისენჯიერის(Schoisengeier) (2002) შედეგის გასამლიერებლად $(0, 1)$ ინტერვალზე უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების მაქსიმალურ ქვესიმრავლემდე რომელიც მკაცრად შეიცავს მიმდევრობებს რომელთაც აქვთ $\{\alpha_n\}_{n \in \mathbb{N}}$ სახე გარკვეული ირაციონალური α რიცხვისათვის და რომელთაც აქვთ სრული L_1^∞ ზომა, სადაც L_1^∞ აღნიშნავს $(0, 1)$ ინტერვალზე განსაზღვრული ლებეგის წრფივი L_1 ზომის უსასრულო ხარისხს.

3	Givi Giorgadze and Gogi Pantsulaia,	Representation of the Dirac Delta function in $C(R^\infty)$ in terms of $(1,1,\dots)$ -ordinary Lebesgue measures in R^∞ /Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	Volume 30, 2016	ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი	4
---	-------------------------------------	---	-----------------	---	---

ანოტაცია

მიღებულია $C(R^\infty)$ -ზე განსაზღვრული უსასრულო განზომილებიანი დირაკის დელტა ფუნქციონალის წარმოდგენა R^∞ -ზე განსაზღვრული $(1,1,\dots)$ -ორდინალური “ლებეგის ზომის” საშუალებით და შესწავლილია მისი ზოგიერთი თვისება

4	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	The Cauchy-Darboux problem for wave equations with a nonlinear dissipative term. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>	Volume 69	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	53-75 (23)
5	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	The second Darboux problem for the wave equation with integral nonlinearity. <i>Trans. A. Razmadze Math. Inst.</i>	Volume 170, No. 3	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	385-394 (10)
6	N.Shavlakadze, S.	An approximate	Volume 170,	ივანე	420-426

	Kharibegashvili, O. Jokhadze	solution of one class of singular integro-differential equations, <i>Trans. A. Razmadze Math. Inst.</i>	No. 3	ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	(7)
7	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	A short survey of scientific results of academician A. V. Bitsadze. <i>Mem. Differential Equations Math. Phys.</i>	Volume 69	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	1-14 (14)
8	S.Kharibegashvili, V. Kokilashvili and T. Jangveladze	On the occasion of Andro Bitsadze's 100th birthday anniversary (May 22, 1916–September 6, 1994), <i>Trans. A. Razmadze Math. Inst.</i>	Volume 170, No. 3	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	297-299 (3)
ანოტაციები					
<p>4. კუთხოვან არეში ტალღის განტოლებისათვის არაწრფივი დისიპატიური წევრით გამოკვლეულია კოში - დარბუს ამოცანა. შესწავლილია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები. განხილულია აგრეთვე ამოცანის ლოკალური ამოხსნადობის საკითხი.</p> <p>5. ტალღის განტოლებისათვის ინტეგრალური არაწრფივობით გამოკვლეულია დარბუს მეორე ამოცანა. დადგენილია პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ გლობალური ამონახსნის არსებობას და ერთადერთობას.</p> <p>6. გამოკვლეულია ერთგვაროვან სიბრტყეში მექანიკური ველის განსაზღვრის ამოცანა, როდესაც ბრტყელი ფირფიტა გამაგრებულია სასრული არაერთგვაროვანი ჩართვით. კონტაქტიური ფირფიტისა და ფირფიტის შორის ხორციელდება წე ბოსთხელი ფენის საშუალებით.</p> <p>ამოცანა დაყვანილია სასაზღვრო ამოცანაზე სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის. ჩატარებულია ასიმპტოტური ანალიზი.</p>					

<p>ორთოგონალურპოლინომთამეთოდისგამოყენებითამოცანადაიყვანებაუსასრულოალგებრულგანტოლებათასისტემისამოხსნაზე. მიღებულისისტემაგამოკვლეულიარეგულარობისთვალსაზრისით.</p> <p>7. მოყვანილია აკადემიკოს ანდრო ბიწაძის სამეცნიერო შედეგების მოკლე მიმოხილვა.</p> <p>8. სტატია მიძღვნილია აკადემიკოს ანდრო ბიწაძის 100 წლისთავთან დაკავშირებით.</p>					
9	Ю. Бежуашвили	Решение двумерной динамической задачи термодиффузии საქართველოს საინჟინრო სიახლენი	NO.1.VOL.77, 2016, 14-18	Georgian Federacion for Informacion and Documentacion (GFID), NGO Georgian Engineering News (GEN) LTD Tbilisi 0179, Kostava 47	4
<p>ანოტაცია</p> <p>განხილულია თერმოდირფუზიის მზული თეორიის ორგანზომილებიანი დინამიკური ამოცანა. პოტენციალთა მეთოდის, სინგულარული ინტეგრალური განტოლებების და ლაპლასის გარდაქმნის გამოყენებით დამტკიცებულია ამოხსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები რეგულარულ ფუნქციათა კლასში.</p>					

10	J.Peradze	On the approximate solution of a Kirchhoff type static beam equation, Transactions of A. Razmadze Mathematical Institute, 266-271	170	Tbilisi, 2016	6
11	J.Peradze, Z.Tsiklauri	A numerical algorithm for the Woinowsky-Krieger nonlinear static beam problem, Reports of enlarged sessions of the seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics	30	Tbilisi, 2016	4

12	J.Peradze	The convergence of an iteration method for the plate under the action of an symmetric load, Re-ports of enlarged sessions of the seminar of I. Ve-kua Institute of Applied Mathe-matics	30	Tbilisi, 2016	4
ანოტაციები					
<p>10. გრინის ფუნქციის მეთოდი და მარტივი იტერაციების პროცესი გამოყენებულია სტატიკური ძელისათვის არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების ამოსახსნელად. შეფასებულია ალგორითმის სიზუსტე.</p> <p>11. განხილულია სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს ძელის სტატიკურ მდგომარეობას. მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და ნიუტონის იტერაციული პროცესი. დამხმარე უცნობის შემოღების შედეგად დისკრეტული სისტემის იაკობიანი გადაიქცა გაიშვიათებულ მატრიცად, რაც იტერაციის ყოველ ბიჯზე ამარტივებს მის შებრუნებას. მიღებულია შებრუნებული მატრიზის ცხადი სახე.</p> <p>12. განხილულია ტიმოშენკოს ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა u, w და ψ ფუნქციების მიმართ. $u = u(w)$ და $\psi = \psi(w)$ დამოკიდებულებების მიღების შედეგად გამოყვანილია არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება w ფუნქციის მიმართ. ამ განტოლებისათვის მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და იაკობის იტერაციული პროცესი. დადგენილია იტერაციული პროცესის კრებადობის პირობები და შეფასებულია მისი ცდომილება.</p>					
13	A. Kirtadze	On small sets from the measure-theoretical point of view	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute, vol. 170, issue 2, 2016	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	4
<p>არათვლად არაკომპუტატიურ ჯგუფში შესწავლილია ზომის თვალსაზრისით მცირე სიმრავლეების ყოფაქცევა არანულოვანი სიგმა-სასრულო მთელი ჯგუფის მიმართ ინვარიანტული (კვაზინვარიანტული) ზომის მიმართ. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ არსებობს მოცემული სიგმა-სასრულო ინვარიანტული (კვაზინვარიანტული) ზომის ისეთი გაგრძელება, რომ ამ ზომის მიმართ ზომადი ორი მცირე სიმრავლის ჯამი არ არის ზომადი იმავე ზომის მიმართ.</p>					
14	V. Kokilashvili, A. Meskhi, M. A. Zaighum	Sharp weighted bounds for multiple integral operators	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (Elsevier)	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	16

			Vol. 170, (2016), 75–90.		
--	--	--	-----------------------------	--	--

ანოტაცია

დადგენილია ოპერატორთა ნორმების ოპტიმალური რაოდენობრივი დამოკიდებულება წონათა მაკენჰაუპტის ტიპის მახასიათებლებზე ისეთი ჯერადი ინტეგრალური ოპერატორებისათვის, როგორცაა სინგულარული ინტეგრალები და პოტენციალები ნამრავლიანი გულებით, ძლიერი მაქსიმალური ფუნქციები და სხვ. ანალოგიური ამოცანები შესწავლილია ცალმხრივი ჯერადი ინტეგრალური გარდაქმნებისათვისაც.

15	V. Kokilashvili, A. Meskhi, V. Paataashvili	Generalized singular integral on Carleson curves in weighted grand Lebesgue spaces	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 170, 2016, No.2, 212–214 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.07.004	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	3
----	---	---	--	--	---

ანოტაცია

დადგენილია ი. ვეკუას განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში გაჩენილი სინგულარული ინტეგრალური ოპერატორის მიერ წარმოქმნილი ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა წონიან გრანდ ლებეგის სივრცეში.

16	V. Kokilashvili, A. Meskhi, V. Paataashvili	The Riemann–Hilbert problem in the class of Cauchy type integrals with densities of grand Lebesgue spaces	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 170,2016, No.2, 208-211. http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.07.002	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	4
----	---	---	--	--	---

ანოტაცია

წარმოდგენილია რიმან-ჰილბერტის ამოცანის ამოხსნა კომის ტიპის ინტეგრალთა კლასში, რომელთა სიმკვრივეც მიეკუთვნება გრანდ ლებეგის სივრცეს. გამოკვლეულია ამოხსნადობის პირობები და ამონახსნები აგებულია ცხადად.

17	G. Gilles and A. Meskhi	Sharp weighted bounds for the Hilbert transform of odd and even functions	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	8
----	----------------------------	---	---	--	---

			Doi: http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.07.005		
ანოტაცია					
მიღებულია ოპერატორის ნორმის დაზუსტებული შეფასებები წონათა ანდერსენ-მაკენჰაუპტის ტიპის მახასიათებლების ტერმინებში ლუწი და კენტი ფუნქციების ჰილბერტის გარდაქმნებისათვის.					
18	Shulaia. D Makatsaria G.	Green's Functions for the Light Scattering Equations . Bulletin of TICMI	Vol. 20, No. 1, 2016, 22-28	Tbilisi, Tbilisi state University	6
ანოტაცია					
ნაშრომის მიზანია უსასრულო გარემოში სინათლის გაბნევი განტოლებისათვის გრინის ფუნქციის კონსტრუირება . ამისათვის მისი მახასიათებელი განტოლებისათვის აგებულია რეგულარული და სინგულარული საკუთრივი ფუნქციათა სისტემა. ნაჩვენებია სისტემის სისრულე , რაც საშუალებას იძლევა დასმული ამოცანის ამონახსნის ეფექტურ წარმოდგენას .					
19	V. Paataashvili	Certain Properties of Generalized Analytic Functions from Class with a Variable Exponent	Mem.Differential Equations. Math.Phys.69, 2016, 77-91	Published by TSU press	14
ანოტაცია					
ილია ვეკუას აზრით განზოგადებული ანალიზური ფუნქციებისათვის განხილულია კლასიკურ ანალიზურ ფუნქციათა სმირონოვის კლასის ანალოგიური ცვლადმაჩვენებლიანი კლასი. შესწავლილია ამ კლასის ფუნქციათა კომის განზოგადებული ინტეგრალით წარმოდგენადობის და გაგრძელებადობის საკითხები, დამტკიცებულია სიმეტრიის პრინციპი.					
20	A.Jaghmaidze, g. Karseladze, G. SaduniSvili	Solution nonclassical Problems Of Statics Of Microstretch Materials with Microtemperatures for bool.Applied Mathematics Informatics and Mechanics		Tbilisi University Press, Tbilisi	16

21	A. Jughmaidze, R. Tsuladze	Boundary-Contact Problems of Statics of Linear Elasticity Mixtures		Tbilisi University Press, Tbilisi	10
----	----------------------------	--	--	-----------------------------------	----

20. ანოტაცია

ნაშრომში განხილულია თერმოდრეკადობის სტატიკის არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები ბირთვისთვის მიკროგაჭიმვების მქონე სხეულისათვის, მიკროტემპერატურების გათვალისწინებით. შესაბამის განტოლებათა სისტემის ამოხსნის ზოგადი წარმოდგენების საშუალებით დასმული ამოცანების ამოხსნები მიღებულია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

21. ანოტაცია

ნაშრომში პოტენციალისა და სინგულრულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით გამოკვლეულია წრფივი დრეკადი ნარევის სტატიკის მთავარი საკონტაქტო ამოცანის არსებობისა და ერთადერთობის საკითხი.

22	V. Tsutskiridze, L. Jikidze	The nonstationary flow of a conducting fluid a plane pipe in the presence of a transverse magnetic field.	Transaction of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 170, Issue 2, September 2016, pp.280-286, (Engl).	Elsevier www. Elsevier. Co /locate/trmi	7
----	-----------------------------	---	--	---	---

აბსტრაქტი: შესწავლილია ბლანტი არაკუმშვადი გამტარი სითხის დინება ორ უსასრულო სიგრძის მქონე ბრტყელ მილში (კედლებს შორის), როდესაც მოძრაობის მართობულად მოდებულია გარეგანი ერთგვაროვანი მაგნიტური ველი. ლაპლასის ინტეგრალური გარდაქმნების გამოყენებით მიღებულია მაგნიტოჰიდროდინამიკის განტოლებათა სისტემის ამონახსნები, როდესაც სითხის გამტარებლობის და კედლების გამტარებლობის კოეფიციენტი ნებისმიერია.

კოპლექსური ინტეგრალები, რომლის მეშვეობითაც გამოსახულია ამონახსნები გამოთვლილია კონკრეტულ შემთხვევებში. გამოთვლილია სითხის ფიზიკური მახასიათებლები (ხახუნის ძალა სითხეში და მილის კედლებზე, სითხის საშუალო სიჩქარე და სითხის ხარჯი).

23	A. Gachechiladze, R. Gachechiladze	Unilateral Contact Problems with a Friction	Transactions of A. Razmadze Mathematical	Elsevier www.elsevier.com/ locate/trmi	13
----	------------------------------------	---	--	--	----

			Institute Vol. 170, № 3, (2016), 363-375		
ანოტაცია					
<p>ნაშრომში შესწავლილია დრეკადობის ჰემიტროპული თეორიის ცალმხრივ შეზღუდვებიანი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ხახუნის გათვალისწინებით. განხილულია ამოცანა, როდესაც საკონტაქტო ზედაპირზე მოცემულია გადაადგილების ნორმალური მდგენელი, მომენტური ძაბვა და პირობები რომლითაც აღიწერება ხახუნის ეფექტი. შესწავლილია ორი შემთხვევა: კოერციტიული, როდესაც დრეკადი სხეული საზღვრის დადებითი ზომის ნაწილით ჩამაგრებულია და არაკოერციტიული, როდესაც ასეთი ჩამაგრებები არ გვაქვს და ხახუნის ეფექტი სხეულის მთელ საზღვარზეა გათვალისწინებული. ამოცანის სივრცით ვარიაციულ უტოლობაზე ეკვივალენტურად დაყვანის მეთოდით შესწავლილია ამოცანის სუსტი ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხი, ასევე კოერციტიულ შემთხვევაში ამონახსნის ამოცანის მონაცემებზე უწყვეტად დამოკიდებულების საკითხი. არაკოერციტიულ შემთხვევაში ცხადი სახით დაწერილია ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა, რომელიც გარკვეულ დამატებით შეზღუდვებს წარმოადგენს არსებობის საკმარის პირობასაც.</p>					
24	Z.Tediashvili	The Dirichlet Boundary Value Problem of Thermo-Electro-Magneto-Elasticity for Half Space	Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics, Volume 69, 2016, 93–103 (თბილისი, თსუ რაზ-მამის მათემატიკის ინსტიტუტი)	10	
ანოტაცია					
<p>განხილულია თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის თეორიის დირიხლეს ამოცანა ნახევარსივრცისათვის. ფურიეს გარდაქმნის გამოყენებით დამტკიცებულია ერთადერთობის თეორემები. გარკვეულ ბუნებრივ შეზღუდვებში, რომლებსაც ვაძებთ სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციას, შესაბამისი დირიხლეს ამოცანის ერთადერთი ამონახსნი წარმოდგენილია ცხადი სახით შებრუნებული ფურიეს გარდაქმნის მეშვეობით.</p>					
25	Tengiz Buchukuri, Roland Duduchava, George Tephnadze	Dirichlet problem for Laplace–Beltrami equation on hypersurfaces-FEM approximation	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute https://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.07.003 .	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	8
ანოტაცია					
<p>განხილულია დირიხლეს სასაზღვრო ამოცანა ლაპლას-ბელტრამის განტოლებისთვის</p>					

<p>ჰიპერზედაპირზე, როდესაც ლაპლას-ბელტრამის ოპერატორი ზედაპირზე ცხადად აღიწერება გიუნტერის დიფერენციალური ოპერატორების საშუალებით. ჰიპერზედაპირზე გიუნტერის მხები დიფერენციალური ოპერატორების აღრიცხვის გამოყენებით დასაბუთებულია სასრულ ელემენტთა მეთოდი განხილული სასაზღვრო ამოცანისთვის და მიღებულია მიახლოებითი ამონახსნიცხადისაბით.</p>					
26	T.Jangveladze	Long-Time Behavior of Solution and Semi-Discrete Scheme for One Nonlinear Parabolic Integro-Differential Equation. <i>Transactions of A. Razmadze Mathematical Institute</i>	V.170, N1 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2015.12.002	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	9
<p>ანოტაცია</p> <p>ერთი არაწრფივი პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისთვის შესწავლილია ნახევრად-დისკრეტული სქემა და ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა შერეული სასაზღვრო პირობებით. ყურადღება გამახვილებულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევაზე. განხილული მოდელი დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე, რომლის საშუალებითაც აღიწერება გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესი.</p>					
27	T.Jangveladze, Z.Kiguradze	Finite Difference Scheme for One Nonlinear Parabolic Integro-Differential Equation. <i>Transactions of A. Razmadze Mathematical Institute</i>	V.170, N3 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.09.006	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	7
<p>ანოტაცია</p> <p>ერთი არაწრფივი პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისთვის განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა შერეული სასაზღვრო პირობებით. მოდელი დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე, რომლის საშუალებითაც აღიწერება გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესი. დაფიქსირებულია ცალსახად ამოხსნადობა და ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა. არსებითი ყურადღება ეთმობა სასრულ-სხვაობიანი სქემის კრებადობას. გამოკვლეულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევა.</p>					
28	S. Kharibegashvil, V. Kokilashvili, T. Jangveladze	On the Occasion of Andro Bitsadze's 100th Birthday Anniversary (May 22, 1916 – September 6, 1994). <i>Transactions of A. Razmadze Mathematical Institute</i>	V.170, N3 http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.10.001	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	3

<p>ანოტაცია</p> <p>სტატია ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ ანდრო ბიწაძის 100 წლის იუბილეს.</p>					
29	T. Jangveladze, M. Gagoshidze	Hoph Bifurcation and its Computer Simulation for One-Dimensional Maxwell Model. <i>Rep. Enlarged Sess. Semin. I.Vekua Appl. Math.</i>	V.30	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
<p>ანოტაცია</p> <p>გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესის აღმწერი მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული არაწრფივი ერთგანზომილებიანი მოდელისათვის მოცემულია ჰოფის ბიფურკაციული პროცესის აღწერა და მისი კომპიუტერული მოდელირება.</p>					
30	T.Jangveladze	Unique Solvability and Additive Averaged Rothe's Type Scheme for One Nonlinear Multi- Dimensional Integro- Differential Parabolic Problem, <i>Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations</i>	QUALITDE- 2016(ISSN 1512- 3391)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
<p>ანოტაცია</p> <p>პარაბოლური ტიპის ერთი არაწრფივი მრავალგანზომილებიანი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობა და როტეს ტიპის ადიტიური გასაშუალებული სქემის კრებადობა.</p>					
31	T.Jangveladze, Z.Kiguradze,	Difference Scheme for One System of Nonlinear Parabolic Integro- Differential Equations. <i>J. Appl. Math. Inform. Mech.</i>	2016,V.21, N1	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	15
<p>ანოტაცია</p> <p>განხილულია არაწრფივი პარაბოლური ტიპის ინტეგრო-დიფერენციალური მოდელი, რომელიც დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე. შერეული სასაზღვრო პირობებიანი საწყის-სასაზღვ-</p>					

ღვრო ამოცანისთვის მოცემულია ამონახსნის ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას. შესწავლილია სასრულ-სხვაობიანი სქემა. გამოკვლეულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევა.

32	Z.Kiguraze, M.Kratsashvili	Finite Difference Scheme for One Nonlinear Partial Integro-Differential Equation. <i>Rep. Enlarged Sess. Semin. I.Vekua Appl. Math.</i>	V.30	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
----	-------------------------------	--	------	-------------------------------------	---

ანოტაცია

გამოკვლეულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული გარემოში ელექტრომაგნიტური ველის დიფუზიის პროცესის აღმწერი მოდელი ორკომპონენტური მაგნიტური ველისთვის. ადრე განხილულზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობების შემთხვევებში შესწავლილია შესაბამისი სასრულ-სხვაობიანი სქემის მდგრადობა და კრებადობა.

33	Z.Kiguradze	Uniqueness of Solution and Convergence of Finite Difference Scheme for One System of Nonlinear Integro-Differential Equations, <i>Abstracts of International Workshop on Qualitative Theory of Differential Equations</i>	QUALITDE-2016(ISSN 1512-3391)	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
----	-------------	--	-------------------------------	-------------------------------------	---

ანოტაცია

განხილულია მაქსველის ცნობილი სისტემის ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე რედუცირების შედეგად მიღებული მოდელი. ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობების შემთხვევებისთვის გამოკვლეულია შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის საკითხი და დამტკიცებულია აგებული სასრულ-სხვაობიანი სქემის კრებადობა

34	G. Berikelashvili, B. Midodashvili	Method of corrections by higher order differences for Poisson equation with nonlocal boundary conditions	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2016.04.002	Elsevier www.elsevier.com/locate/trmi	10
----	---------------------------------------	--	---	--	----

35*	G. Berikelashvili, B. Midodashvili	Method of corrections by higher order differences for elliptic equations with variable coefficients	Georgian Mathematical Journal DOI: 10.1515/gmj-2016-0008 ,	De Gruyter	12
36	G.Berikelashvili, N.Khomeriki, M.Mirianashvili	On the convergence rate analysis of one difference scheme for Burgers' equation	Mem. Differential Equations Math. Phys. 69 (2016), pp. 33-42	Georgian National Academy of Sciences and the A. Razmadze Mathematical Institute	10

ანოტაცია

34. განხილულია ბიწაძე-სამარსკის ტიპის არალოკალური სასაზღვრო ამოცანა პუასონის განტოლებისათვის, რომლის ამოსახსნელად მეორე რიგის სასრულ სხვაობიანი სქემა გამოყენებული. მიღებული მიახლოებითი ამონახსნით ვახდენთ სხვაობიანი სქემის მარჯვენა მხარის კორექციას. დამტკიცებულია, რომ კორექტირებული სქემის ამონახსნი კრებადია $O(h^s)$ სიჩქარით, თუ ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება $s \in [2, 4]$ მაჩვენებლიან სობოლევის სივრცეს.

35. განხილულია ცვალეზად კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლებისათვის დასმული დირიხლეს ამოცანა, რომლის ამოსახსნელად მეორე რიგის სიზუსტის სასრულ სხვაობიანი სქემა გამოყენებული. დაფუძნებულია ორსაფეხურიანი სასრულ სხვაობიანი მეთოდი და მიღებულია ზუსტი ამონახსნის სიგლუვესთან შეთანხმებული კრებადობის შეფასება. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ კორექტირებული სქემა კრებადია $O(h^s)$ სიჩქარით, თუ ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება $s \in [2, 4]$ მაჩვენებლიან სობოლევის სივრცეს.

36. განხილულია ერთგანზომილებიანი არაწრფივი ბურგერის განტოლებისათვის დასმული საწყის-სასაზღვრო ამოცანა. შესწავლილია სამშრიანი სასრულ-სხვაობიანი სქემა. უცნობი ფუნქციის მნიშვნელობების მოსაძებნად პირველ შრეზე ორშრიანი სქემა გამოყენებული. მიღებული ალგებრული განტოლებები წრფივია უცნობი ფუნქციის მნიშვნელობების მიმართ ყოველ ახალ შრეზე. დამტკიცებულია, რომ თუ ზუსტი ამონახსნი მიეკუთვნება სობოლევის W_2^k , $2 < k \leq 3$ სივრცეს, მაშინ დისკრეტული L_2 ნორმით სქემის კრებადობის სიჩქარეა $O(h^{k-1} + \tau^{k-1})$.

37	Chartolani R. Durglishvili N. Kvatadze Z.	Optimization of a State Financing Model of Vocational Colleges. Proc. A. Razmadze Math. Inst.	169(2-15)	თბილისი	23-31
----	---	--	-----------	---------	-------

ანოტაცია

სტატისტიკურ მონაცემთა ფაქტორული დამუშავების შედეგად გამოიყო 8 ძირითადი ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ სასწავლო პროცესის მაქსიმალური დონის მიღწევას. შეფასებულია თოთოეული ფაქტორის კოეფიციენტები. მიღებულია რანჟირების ცხრილისათვის საჭირო კოეფიციენტები ბაზრის მხრიდან სპეციალობის მოთხოვნის გათვალისწინებით.

2) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G.Pantsulaia	Applications of measure theory in statistics	ISBN 978-3-319-45577-8, Springer© 2016 http://www.springer.com/gp/book/9783319455778	134

ანოტაცია

ამ წიგნის მიზანია პოლონურ ჯგუფებისათვის შემუშავებული ჰაარის ნულ სიმრავლეთა კონცეფციის გამოყენებით ამავე ჯგუფებზე განსაზღვრული ძალდებული შეფასებებისათვის ობიექტურობისა და სუბიექტურობის ცნებებში მკაცრად არგუმენტირებული მათემატიკური შინაარსის ჩადება. ეს ახალი მიდგომა ბუნებრივად ხლიჩავს პოლონურ ჯგუფებზე განსაზღვრული უცნობი პარამეტრის ძალდებული შეფასებების კლასს სუბიექტური და ობიექტური შეფასებების თანაუკვეთ კლასებად და ეხმარება მკითხველს ზოგიერთი ჰიპოთეზის გარკვევაში რომელიც წარმოიშობა ნულ ჰიპოთეზის ტესტირების კრიტიციზმში. წიგნი ასევე აცნობს სტუდენტებს უსასრულო-განზომილებიანი მონტე-კარლოს ინტეგრირების თეორიას რომელიც სულ ახლახან იქნა შემუშავებული უსასრულო-განზომილებიან მართკუთხედებზე განსაზღვრული უსასრულო-განზომილებიანი რიმანის ინტეგრალის მნიშვნელობის შესაფასებლად. ეს წიგნი განკუთვნილია როგორც ასპირანტებისათვის ასევე მკვლევარებისათვის რომლებიც მუშაობენ ანალიზის, ზომის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხებში.

2	V. Kokilashvili, A. Meskhi, H. Rafeiro and S. Samko	Integral operators in non-standard function spaces: Volume 1, Variable exponent Lebesgue and amalgam spaces	Birkäuser/ Springer Heidelberg	567
---	--	--	-----------------------------------	-----

ანოტაცია

მონოგრაფიაში შესწავლილია ჰარმონიული ანალიზის ოპერატორთა ასახვის თვისებები ისეთ არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში, როგორცაა ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცეები,

ამაღამ სივრცეები, ცვლადმაჩვენებლიან ჰელდერის სივრცეებში და სხვა. დიდწილად ამოცანები შესწავლილია კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეებზე განსაზღვრული ოპერატორებისა და სივრცეებისათვის. მიღებულ შედეგთა შორის აღსანიშნავია წონითი კრიტერიუმები ჰარდის ტიპისა და კარელმან კნოპის ოპერატორებისათვის, შემოსაზღვრულობისა და კომპაქტურობის კრიტერიუმები ცვლადპარამეტრიანი რიმან-ლიუვილის გარდაქმნებისათვის, გულიანი ინტეგრალური ოპერატორებისათვის, არაკომპაქტურობის ზომის ორმხრივი შეფასებები გულიანი ოპერატორებისათვის, ორწონიანი შეფასებები კალდრონ-ზიგმუნდის ოპერატორებისათვის და პოტენციალებისათვის, ორწონიანი უტოლობები ცვლადპარამეტრიანი ძლიერი წილადური მაქსიმალური ოპერატორებისათვის და ჯერადი ჰარდის გარდაქმნებისათვის. აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში აღნიშნული ამოცანები შესწავლილია სივრცის მაჩვენებლებზე ლოგარითმული პირობების გარეშე. მოცემულ ტომში წარმოდგენილია ასახვის თვისებები ჰიპერსინგულარული ინტეგრალური ოპერატორებისათვის ერთგვაროვანი ტიპის სივრცეზე განსაზღვრული ცვლადმაჩვენებლიან სობოლევის სივრცეებში. კომის სინგულარული ინტეგრალური ოპერატორები წონიან ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში გამოყენებულია ფრედჰოლმის ტიპის ამოხსნადობის საკითხებში სინგულარულ ინტეგრალური განტოლებებისათვის და ფსევდოდოფერენციალური ოპერატორებისათვის,

3	V. Kokilashvili, A. Meskhi, H. Rafeiro and S. Samko	Integral operators in non- standard function spaces Volume 2: Variable exponent Lebesgue and amalgam spaces	Birkäuser/ Springer Heidelberg	432
---	--	--	-----------------------------------	-----

ანოტაცია

შესწავლილია ჰარმონიული ანალიზის ძირითად ოპერატორთა ასახვის თვისებები განზოგადებულ ცვლადმაჩვენებლიან მორის სივრცეებში, წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებსა და განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში, შემოღებულია გრანდ ლებეგის სივრცე უსასრულო ზომიან სივრცეებზე და დადგენილია ნახევრადწრფივი ოპერატორების შემოსაზღვრულობა აღნიშნულ სივრცეებში. შემოღებულია ახალი ფუნქციური სივრცე, რომელიც წარმოდგენს ნაზავს ორი ახალი ფუნქციური სივრცისა: ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცისა და გრანდ ლებეგის სივრცისა. დადგენილია მაქსიმალური, სინგულარული და პოტენციალის ოპერატორების შემოსაზღვრულობა ამ სივრცეებში, შემოღებულია გრანდ ბოხნერ-ლეგევის სივრცე და შესაწავლილია მისი ზოგიერთი სტრუქტურული თვისება, დადგენილია სინგულარული ინტეგრალური ოპერატორისა და პოტენციალის ოპერატორების კომუტატორების შემოსაზღვრულობა განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში; დადგენილია VMO კოეფიციენტებიანი ელიფსური განტოლების ამონახსნათა რეგულარობა განზოგადებულ გრანდ მორის სივრცეებში; შესწავლილია ნახევრადწრფივი ოპერატორების შემოსაზღვრულობა ცვლადმაჩვენებლიან ჰერცის სივრცეებში; მოცემულია აუცილებელი და საკმარისი პირობები ზომაზე, რომელიც უზრუნველყოფს სტეინ-ვეისის ტიპის უტოლობებს არაერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრული პოტენციალებისათვის; მიღებულია ადამსის ტიპის კვალის უტოლობა მორის სივრცეებში ერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრული პოტენციალებისათვის; დადგენილია ორწონიანი უტოლობები ნამრავლიანგულიანი პოტენციალის ოპერატორების კლებად ფუნქციათა კონუსებზე.

4	T.Jangveladze,	Numerical Solution of	Elsevier, ACADEMIC	254
---	----------------	-----------------------	--------------------	-----

	Z.Kiguradze, B.Neta	Three Classes of Nonlinear Parabolic Integro-Differential Equations.	PRESS, 2016, ISBN: 978- 0-12-804628-9	
<p>ანოტაცია</p> <p>მონოგრაფია ეძღვნება ზოგიერთი ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელის რიცხვითი ამონახსნის საკითხებს. მოცემულია განხილული მოდელების შესაბამისი საწყის-სასაზღვრო ამოცანების ზოგიერთი თვისება. აგებულია და გამოკვლეულია მიახლოებითი ამონახსნის მოძებნის ალგორითმები. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი და მოყვანილია შესაბამისი ცხრილები და გრაფიკული ილუსტრაციები. ყოველი თავის ბოლოს მოცემულია კომენტარები და ბიბლიოგრაფიული მითითებები მონოგრაფიაში განხილული და მსგავსი მოდელების კვლევების შედეგების შესახებ.</p>				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჰერდუ ბის რაოდენ ობა
1*	O. Chkadua, S. Mikhailov, D. Natroshvili,	Localized boundary- domain singular integralequations of Dirichlet problem for self-adjoint second- order strongly elliptic PDE systems// Mathematical Methods in the Applied Sciences.	wileyonlinelibrary.com DOI: 10.1002/mma.4100 (2016)	Wiley	21

<p>ანოტაცია</p> <p>ახლად შექმნილი განზოგადებული ლოკალიზებული პოტენციალების თეორიისა და ფსევდოდიფერენციალური განტოლებებისათვის ბუტე დე მონველისა და ვიშიკ-ესკინის მიერ მიღებული შედეგების გამოყენებით გამოკვლეულია დირიხლეს ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის, არსებობის და რეგულარობის საკითხები ცვლად კოეფიციენტებიანი თვითშეუღლებული მეორე რიგის ძლიერად ელიფსური სიტემებისათვის.</p>					
--	--	--	--	--	--

2*	G.Pantsulaia	Equipment of sets with cardinality of the continuum by structures of Polish groups with Haar measures <i>/International Journal of Advanced Research in Mathematics,</i>	Vol. 5, (2016) 8-22	SciPress Ltd., Switzerland, doi: 10.18052/www.scipress.com/IJARM.5.8	15
----	--------------	---	---------------------	---	----

ანოტაცია

შემუშავებულია მიდგომა რომელიც იძლევა კონტინუუმის სიმძლავრის სიმრავლის აღჭურვას ორმხრივად ინვარიანტული ჰაარის ზომით აღჭურვილი პოლონური ჯგუფის სტრუქტურით. ამ მიდგომის საშუალებით დადებითად ვპასუხობთ მალეკის მიერ 2012 წელს დასმულ შეკითხვაზე რომელია ის k -განზომილებიანი მრავალსახეობები რომელთაც აქვთ ორი განსხვავებული ლის ჯგუფის სტრუქტურა ერთი და იგივე ჰაარის ზომით. ნაჩვენებია, რომ პოლონურ სივრცეზე განსაზღვრული ბორელის დიფუზიურიალბათური ზომისათვის არსებობს ისეთი მეტრიკა და ჯგუფური ოპერაცია, რომ ამ ახალი მეტრიკით წარმოქმნილი სიმრავლეთა ბორელის კლასი ემთხვევა პოლონური სივრცის ქვესიმრავლეთა ბორელის კლასს და მოცემული ზომა წარმოადგენს ჰაარის ალბათურ ზომას შემოტანილი ჯგუფური ოპერაციის მიმართ.

3*	Pantsulaia, Gogi; Giorgadze, Givi.	On a linear partial differential equation of the higher order in two variables with initial condition whose coefficients are real-valued simple step functions./ <i>J. Partial Differ. Equ.</i>	29 (2016), no. 1, 1--13.	Peking University, Institute of Applied Physics and Computational Mathematics and Zhengzhou University(CHINA). doi: 10.4208/jpde.v29.n1.1	13
----	---	---	--------------------------	--	----

ანოტაცია

[Georg. Inter. J. Sci. Tech., Volume 3, Issue 1 (2011), 107-129] ნაშრომში შემუშავებული მიდგომით მიღებულია საწყის პირობიანი მაღალი რიგის წრფივი კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების სუსტი ამონახსნის ცხადი სახით წარმოდგენა, როცა კოეფიციენტები წარმოადგენენ ნამდვილ მნიშვნელობიან მარტივ საფეხურა ფუნქციებს.

4*	M.Kintsurashvili, T.Kiria and G.Pantsulaia	M.Kintsurashvili, T.Kiria and G.Pantsulaia, On	Volume 38, 2016, Pages 83-103	Scientific Advances Publishers 71/52 Bhusoli Tola Khuldabad	21
----	--	--	-------------------------------------	---	----

	Moore-lamasaki-Kharazishvili type measures and the infinite powers of Borel diffused probability measures on \mathbb{R}^S , Journal of Mathematical Sciences: Advances and Applications		Allahabad 211 006 (INDIA) DOI: http://dx.doi.org/10.18642/jmsaa_7100121637	
--	---	--	--	--

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი შეიცავს იამასაკის (1980) ერთი შედეგის მოკლე მიმოხილვას რომელიც შეეხება მური-იამასაკი-ხარაზიშვილის ზომებსა და ნამდვილ რიცხვთა ღერძზე განსაზღვრული დიფუზიური ალბათური ზომის უსასრულო ხარისხებს შორის მიმართებას. უფრო ზუსტად, ჩვენ მოგვყავს იამასაკის დამტკიცება იმის შესახებ, რომ მკაცრად დადებითი განაწილების ფუნქციით განსაზღვრულ დიფუზიური ზომის უსასრულო ხარისხისათვის არ მოიძებნება მისი ექვივალენტური მური-იამასაკი-ხარაზიშვილის ზომა. იამასაკის ზომის ერთი მოდიფიკაცია არის გამოყენებული იმის საჩვენებლად რომ არსებობს მური-იამასაკი-ხარაზიშვილის ზომის ექვივალენტური მკაცრად დადებითი განაწილების ფუნქციით განსაზღვრული დიფუზიური ზომების ნამრავლი. უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების თვისებების გამოყენებით დამტკიცებულია რომ მკაცრად დადებითი განაწილების ფუნქციით განსაზღვრული დიფუზიური ზომის უსასრულო ხარისხისთვის ნებისმიერი ოჯახი არის ძლიერად განცალკეობადი, და შესაბამისად გააჩნია უცნობი განაწილების ფუნქციის უსასრულო-მერჩვევითი ძალდებული შეფასება. ეს აძლიერებს ძირითად შედეგს, რომელიც თავის დროზე მიღებული იყო შემდეგ ნაშრომში [Zerakidze Z., Pantsulaia G., Saatashvili G. On the separation problem for a family of Borel and Baire G -powers of shift-measures on \mathbb{R} // Ukrainian Math. J. -2013.-65 (4).- P. 470--485

5	D.Ugulava,	Суммирование рядов Фурье почти-периодических функций на локально компактных Абелевых группах	Известия ВУЗ, 12, 2016. Russian Mathematics, 2016, v.60, No. 12	Russian	14
---	------------	--	--	---------	----

ანოტაცია

უწყვეტი პერიოდული ფუნქციებისათვის ცნობილი ზოგიერთი კლასიკური შედეგი განზოგადებულია ლოკალურად კომპაქტურ აბელის ჯგუფებზე განსაზღვრულ თითქმის პერიოდული ფუნქციებისათვის. შემოყვანილი და შესწავლილია ფურიეს მწკრივთა ბოხნერ-

ფიერის ცნობილი საშუალოების გარკვეული ანალოგები. შედეგები ილუსტრირებულია მაგალითებით.

6*	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	On solvability of a periodic problem for a nonlinear telegraph equation. <i>Siberian Math. J.</i>	Volume 57 No.4	Spinger New York	735-743 (9)
7*	S.Kharibegashvili, O.Jokhadze	On the solvability of a boundary value problems for nonlinear wave equations in angular domains. <i>Differential Equations</i> . Translated from <i>Differentsial'nye Uravneniya</i>	Volume 52 No.5	Spinger New York City	644-666 (23)

ანოტაციები

6. ტელეგრაფის არაწრფივი განტოლებისათვის გამოკვლეულია დროით პერიოდული ამოცანა დირიხლესა და პუანკარეს სასაზღვრო პირობებით. დადგენილია პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობას.

7. კუთხოვან არეებში ტალღის არაწრფივი განტოლებისათვის გამოკვლეულია სასაზღვრო ამოცანა დირიხლესა და პუანკარეს პირობებით არამახასიათებელ მზიდებზე. ვექტორული ველის ყოფაქცევის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს სასაზღვრო პირობაში დახრილი წარმოებულის მიმართულებას შესწავლილია გლობალური ამონახსნის არსებობის, ერთადერთობისა და არარსებობის საკითხები. შესწავლილია აგრეთვე ამოცანის ლოკალური ამოხსნადობა დაფეთქებადი ამონახსნის არსებობა.

8*.	N.Kachakhidze, N.Khomeriki, J.Peradze, Z.Tsiklauri	Chipot's method for Kirchhoff's one- dimensional static equation, Numerical Algorithms, 2016	v.72, n.1		16
-----	---	--	-----------	--	----

9*	J.Peradze	A Kirchhoff type equation in a non-linear model of shell vibration, Journal of Applied Mathematics and Mechanics (Z. Angew. Math. Mech.), 2016	DOI 10.1002/zamm.201600142		15
----	-----------	--	-------------------------------	--	----

ანოტაციები

8. კირჭოფის არაწრფივი ერთგანზომილებიანი სტატიკური განტოლების ამოსახსნელად გამოყენებულია ჩიპოს მეთოდი. შესწავლილია ამ მეთოდის მდგრადობის საკითხი.

9. სტატიკური მართკუთხა ფირფიტისათვის დონელ-ვლასოვის არაწრფივ განტოლებათა სისტემიდან გამოყოფილია კირჭოფის ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება განივი გადაადგილების ფუნქციის მიმართ.

10*	T. Kasrashvili, A. Kirtadze	Elementary volume and measurability properties of additive functions,	Georgian Mathematical Journal, vol. 23, issue 1, 2016, pp.69-73.	De gruyter, Germany	5
-----	--------------------------------	---	--	---------------------	---

განხილულია ელემენტალური მოცულობების თვისებები ზომის თეორიისა თვალსაზრისით და მათთან დაკავშირებული საკითხები (მაგალითად, ფიგურათა ტოლშედეგნილობა, დენის ინვარიანტები, ნეიმანისა და ბანახ-ტარსკის პარადოქსები და სხვ.). ვინაიდან მოყვანილი საკითხები უშუალოდ კავშირშია კოშის ფუნქციონალურ განტოლების ამონახსნთან, ამოტომ გამოკვლეულ იქნა ამ განტოლების ამონახსნები ზომის თეორიის თვალსაზრისით და დადგენილ იქნა, რომ არსებობს ადიტიური ფუნქცია, რომელიც აბსოლუტურად არაზომადია ლებეგის ზომის ყველა იმ გაგრძელებათა კლასის მიმართ, რომლებიც ინვარიანტულნი არიან ძვრების მიმართ.

11	A. Kirtadze	Additive functions from measure-theory point-view	Journal of Mathematics and Statistics Sciences, vol. 2, 2016, pp. 513-523.	Science Singpost Publishing, USA	11
----	-------------	---	--	----------------------------------	----

ანოტაცია

გამოკვლეულია ადიტიური ფუნქციების ზომადობის თვისებები ზომათა სხვადასხვა კლასების მიმართ.

12*	A. Meskhi, H. Rafeiro and M. A. Zaighum,	Interpolation on variable Morrey spaces defined on quasi-metric measure spaces	Journal of Functional Analysis, Vol. 270, 2016, No. 10, pp. 3946-3961	Elsevier	16
-----	--	--	---	----------	----

ანოტაცია

დამტკიცებულია რისი-ტორინის თეორემის ანალოგი წრფივი ოპერატორებისათვის რომლებიც მოქმედებენ კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეებზე განსაზღვრული ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრციდან ცვლადმაჩვენებლიან მორის სივრცეში. ძირითადი შედეგი მიღებულია სივრცის ზოგადი მაჩვენებლისათვის, რომელთათვისაც არ მოითხოვება, მაგალითად ლოგარითმული პირობა.

13*	V. Okilashvili, A. Meskhi and H. Rafeiro	Operators in generalized weighted Morrey spaces	Doklady Acad. Nauk (Russian), Vol. 470 (2016), No. 5, 502–504. English Translation in: Doklady Mathematics, Vol. 94, No. 2, 558–560.	Springer	3
-----	--	---	--	----------	---

ანოტაცია

მიღებულია ნახევრადწრფივი ოპერატორების შემოსაზღვრულობა კვაზიმეტრიკულ ზომიან სივრცეებზე განსაზღვრული წონიან გრანდ მორის სივრცეებში წონებზე მაკენჰაუპტის პირობის ქვეშ. განხილული ოპერატორები მოიცავს ჰარმონიული ანალიზის ისეთი მნიშვნელოვან ოპერატორებს, როგორცაა: ჰარდი-ლიტლვუდისა და კალდერონ-ზიგმუნდი ოპერატორები, ჩ. ფეფერმანის სინგულარული მულტიპლიკატორები, რ. ფეფერმანის სინგულარული ინტეგრალები, რიჩი-სტეინის ოსცილატორული ინტეგრალები, ბონენერი-რისის საშუალოები, წილადური ინტეგრალები და სხვ.

14*	V. Kokilashvili, M. Mastylo and A. Meskhi	Multilinear integral operators in weighted grand Lebesgue spaces	Fractional Calculus and Applied Analysis, Vol. 19, 2016, No. 3, 691-724.	De Gruyter	34
-----	---	--	--	------------	----

ანოტაცია

მიღებულია ერთგვაროვანი ტიპის სივრცეებზე განსაზღვრული მრავლადნახევრადწრფივი მაქსიმალური ოპერატორებისა და მრავლადრფივი კალდერონ-ზიგმუნდის სინგულარული ინტეგრალების შემოსაზღვრულობა წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებში. დამტკიცებულია აგრეთვე ერთწონიანი უტოლობა და კვალის უტოლობა მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალებისათვის აღნიშნულ სივრცეებში.

15*	A. Meskhi, H. Rafeiro and M. A. Zaighum	Complex interpolation on variable exponent Campanato spaces of order λ	Complex Variables and Elliptic Equations, http://dx.doi.org/10.1080/17476933.2016.1244190	Taylor and Frances	34
-----	---	---	---	--------------------	----

ანოტაცია

მიღებულია ერთგვაროვანი ტიპის სივრცეებზე განსაზღვრული მრავლადნახევრადწრფივი მაქსიმალური ოპერატორებისა და მრავლადრფივი კალდერონ-ზიგმუნდის სინგულარული ინტეგრალების შემოსაზღვრულობა წონიან გრანდ ლებეგის სივრცეებში. დამტკიცებულია აგრეთვე ერთწონიანი უტოლობა და კვალის უტოლობა მრავლადწრფივი წილადური ინტეგრალებისათვის აღნიშნულ სივრცეებში.

16*	A. Meskhi and M. A. Zaighum	Weighted kernel operators in $L^{p(x)}(\mathbb{R}_+)$ spaces	Journal of Mathematical Inequalities, Vol. 10, 2016, Number 3, 623– 639, DOI: 10.7153/jmi- 10-50.	Ele-Math (www.ele-math.com)	17
-----	--------------------------------	--	---	--------------------------------	----

ანოტაცია

დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები წონაზე, იმისათვის, რომ წონით განსაზღვრული გულიანი ოპერატორი იყოს შემოსაზღვრული/კომპაქტური ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში სივრცის მაჩვენებელზე ლოკალური ლოგარითმული პირობისა და უსასრულობაში შესაბამისი კლებადობის პირობის ქვეშ. მიღებულია ორმხრივი შეფასებები აღნიშნული ოპერატორის არაკომპაქტურობის ზომისათვის.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	ბჰერდუ ბის რაოდენ ობა
17*	V. Kokilashvili and A. Meskhi	Weighted extrapolation in Iwaniec-Sbordone spaces. Applications to integral operators and theory of approximation.	Proceedings of the Steklov Institute of Mathematics, Vol. 293,2016, pp. 161–185. Original Russian Text published in Trudy Matematicheskogo Institutu imeni V.A.	Springer	25

			Steklova, Vol. 293, 2016, pp. 167–192.		
ანოტაცია					
<p>დამტკიცებულია წონითი ექსტრაპოლაციის თეორემები ივანიეც-სბორდონეს სივრცეების ჩარჩოებში. აღნიშნული შედეგები გამოყენებულია ერთწონიანი კრიტერიუმების დასადგენად ჰარმონიული ანალიზის ოპერატორებისათვის, ისეთი როგორცაა კალდერონ-ზიგმუნდის ოპერატორები, წილადური ინგერალები, მათი კომპუტატორები. დამტკიცებულია ბერნშტეინისა და ნიკოლსკის ტიპის უტოლობები აღნიშნულ სივრცეებში.</p>					

18*	V. Kokilashvili, A. Meskhi and V. Paataashvili	The Riemann boundary value problem in the class of Cauchy type integrals with densities of grand variable exponent Lebesgue spaces	Georgian Math. J. DOI: 10.1515/gmj-2016-0041	De Gruyter	7
-----	--	--	--	------------	---

ანოტაცია					
<p>შესწავლილია რიმანის სასაზღვრო ამოცანა ანალიზური ფუნქციებისათვის ახალ ფუნქციურ სივრცეში, კერძოდ გრანდ ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში, რომელიც წარმოადგენს ორი არასტანდარტული სივრცის: გრანდ ლებეგისა და ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეების ნაზავს.</p>					

19*	N. Shvylakadze, N. Odishelidze, Francesco Criado- Aldeanueva	The contact problem for a piecewise-homogeneous orthotropic plate with a finite inclusion of variable cross-section. Mathematics and Mechanics of Solids	1081286516631160, first published on february. 29, 2016 as DOI:10. 1177/108128651663116 0	SAGE Publishing	10
-----	---	--	--	-----------------	----

ანოტაცია					
<p>განიხილება უბან-უბან ერთგვაროვანი ორთოტროპული ფირფიტა, რომელიც გამაგრებულია სასრული სოლის ფორმის მქონე დრეკადი ჩართვით. ჩართვა მართ კუთხეს ადგენს ორი მასალის გამყოფ საზღვართან და დატვირთულია ნორმალური ძალებით. განსაზღვრულია ნორმალური საკონტაქტო ძაბვა კონტაქტის წირის გასწვრივ და დადგენილია საკონტაქტო ძაბვის ყოფაქცევა სინგულარულ წერტილებში. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით ამოცანა დაიყვანება სინგულარულ ინტეგრირებად-დიფერენციალურ განტოლებებზე სასრული ინტერვალის გასწვრივ. ინტეგრალური გარდაქმნით მიიღება რიმანის ამოცანა, რომლის ამონახსნი წარმოიდგინება ცხადი სახით.</p>					

20	N.Shavlakadze	The boundary contact problem of electroelasticity and related integral differential equations. Transaction of A. Razmadze Mathematical Institute.	Vol. 170, Issue 1, May 2016	Elsevier	7
----	---------------	---	-----------------------------	----------	---

ანოტაცია

განიხილება მექანიკური და ელექტრული ველების განსაზღვრის ამოცანა ერთგვაროვან პიეზოელექტრულ ფირფიტაში, რომელიც გამაგრებულია თხელი სოლის ფორმის ჩართვით. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით ამოცანა დაყვანილია სინგულარულ ინტეგრო დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე. ინტეგრალური გარდაქმნის გამოყენებით მიღებულია დასმული ამოცანის ზუსტი ამონახსნი. განსაზღვრულია საკონტაქტო ძაბვის ყოფაქცევა სინგულარული წერტილების მიდამოში.

21	N. Shavlakadze, S. Kharibegashvili, O. Jokhadze	An approximate solution of one class of singular integral differential equation. Transaction of A. Razmadze Mathematical Institute.	Vol. 170, Issue 3, Dec. 2016	Elsevier	7
----	---	---	------------------------------	----------	---

ანოტაცია

გამოკვლეულია ერთგვაროვან სიბრტყეში მექანიკური ველის განსაზღვრის ამოცანა, როდესაც ბრტყელი ფირფიტა გამაგრებულია სასრული არაერთგვაროვანი ჩართვით. კონტაქტი ფირფიტასა და ფირფიტას შორის ხორციელდება წებოს თხელი ფენის საშუალებით. ამოცანა დაყვანილია სასაზღვრო ამოცანაზე სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის. ჩატარებულია ასიმპტოტური ანალიზი. ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდის გამოყენებით ამოცანა დაიყვანება უსასრულო წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე. მიღებული სისტემა გამოკვლეულია რეგულარობის თვალსაზრისით.

22*	A. Gachechiladze, R.Gachechiladze	Односторонние контактные задачи с трением, возникающим вдоль нормали	Дифференциальные Уравнения, 52(5) (2016) 589-607	Москва	19
-----	-----------------------------------	--	--	--------	----

ანოტაცია

გამოკვლეულია სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა მიკროპოლარული ერთგვაროვანი დრეკადი ჰემიტროპული სხეულისათვის ხახუნის გათვალისწინებით. ამ ამოცანაში ხახუნის ძალა წარმოიქმნება დრეკადი სხეულის არა მხები მიმართულებით გადაადგილებისას, არამედ ნორმალის მიმართულებით გადაადგილებისას. განიხილება ორი შემთხვევა: კოერციტიული, როდესაც დრეკადი სხეული საზღვრის

დადებითი ზომის ნაწილით ჩამაგრებულია და არაკორციტიული, როდესაც ასეთი ჩამაგრებები არ გვაქვს. სტეკლოვ-პუნკარეს ოპერატორის გამოყენებით ეს ამოცანა ეკვივალენტურად დაიყვანება სასაზღვრო ვარიაციულ უტოლობაზე. ვარიაციულ უტოლობათა ზოგად თეორიაზე დაყრდნობით შეისწავლება ამოცანის სუსტი ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხი. კორციტიულ შემთხვევაში ამოცანა ამოხსნადია ცალსახად და უპირობოდ და ამონახსნი უწყვეტადაა დამოკიდებული ამოცანის მონაცემებზე. არაკორციტიულ შემთხვევაში ცხადი სახით დაწერილია ამონახსნის არსებობის აუცილებელი პირობა, რომელიც გარკვეულ დამატებით შეზღუდვებსი წარმოადგენს არსებობის საკმარის პირობასაც.

23	L.Giorgashvili, D.Burchuladze, K.Skhvitaridze	Representation Formula for General Solution of a Homogeneous Sistem of Differential Equations.	Journal of Mathematical Sciencese,2016, (4), June 13,p. 527-537.	Springer	11
----	---	--	--	----------	----

ანოტაცია

განხილულია მიკროტემპერატურული სხეულებისათვის თერმოდრეკადობის ფსევდო-რხევის სასაზღვრო ამოცანები. მიღებულია შესაბამისი დიფერენციალური განტოლებათა სისტემის ამონახსნის ზოგადი წარმოდგენის ფორმულა გამოსახული შვიდი მეტაჰარმონიული ფუნქციების საშუალებით. ამ წარმოდგენების გამოყენებით ამოხსნილია დირიხლესა და ნეიმანის სასაზღვრო ამოცანები ბირტვისათვის. დამტკიცებულია ამ ამოცანების ამონახსნის ერთადერთობის თეორემები. ამოხსნები მიღებულია აბსოლუტურათ და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.

24	G. Samsonadze, D. Zangurashvili	Effective codescent morphisms in varieties determined by convergent term rewriting systems	Tbilisi Math. Journal, 9(1), 2016, DOI: 10.1515/tmj2016-0005	Tbilisi	16
----	---------------------------------	--	--	---------	----

ანოტაცია

ნაჩვენებია, რომ უნივერსალური ალგებრების მრავალნაირობაში თავისუფალიამალგამირებული ნამრავლების ელემენტებს აქვთ ერთადერთი ნორმალური ფორმები, თუ მრავალნაირობა წარმოდგენილია ტერმებისგადაწერისკონფლუენტური სისტემით და აგრეთვე აკმაყოფილებს გარკვეულ დამატებით პირობებს მისი განმსაზღვრელი წესებისა და სიგნატურისათვის. ამ ფაქტის გამოყენებით დამტკიცებულია, რომ ყოველიკოდაწევისმორფიზმიეფექტურია ასეთ მრავალნაირობაში. კერძოდ, ამას აქვს ადგილი მალცევისალგებრების, ერთეულის და ორმხრივი შებრუნებულებისმქონემაგმების, იდემოტენტურიკვაზიჯგუფების, უნიპოტენტური კვაზიჯგუფების დ მარცხენა/მარჯვენა შტიინერისლუპების მრავალნაირობებისათვის.

25*	N.Gorgodze, I.Ramishvili, T.Tadumadze	Continuos Dependence of Solution of a Neutral Functional Differential Equation on the Righthandside and Inutial Data Considering	23(4)	Germany, De Gruyter	17 გვ.
-----	---	--	-------	---------------------	--------

		Perturbations of Variable Delays. Georgian Math. J.			
--	--	--	--	--	--

ნეიტრალური ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისათვის, რომლის მარჯვენა მხარე წრფივია სინქარის წინაისტორიის მიმართ, დამტკიცებულია კოშის ამოცანის ამონახსნის უწყვეტობა განტოლების მარჯვენა მხარის არაწრფივი წევრისა და საწყისი მონაცემების შემფოთებების მიმართ. საწყისი მონაცემების ქვეშ იგულისხმება საწყისი მომენტის, ფაზურ კოორდინატებში შემავალი ცვლადი დაგვიანებები, საწყისი ვექტორისა და საწყისი ფუნქციების ერთობლიობა. ნაშრომში, არსებით სიახლეს წარმოადგენს ცვლადი დაგვიანებების შემფოთების გათვალისწინება ძირითადი თეორემების დამტკიცებისას. მარჯვენა მხარის შემფოთება მცირე ინტეგრალური აზრით, ხოლო საწყისი მონაცემები მცირე სტანდარტული ნორმით.

26*	Labadze L. Sokhadze G. Kvatadze Z.	On Parameter Estimation for Ornstein-Uhlenbeck's Process. SCIREA Journal of Mathematics	Volume 1. N 1 2016. p.p. 119-129	Science Research Association, a global academic organization	11 გვ. 119-129
-----	--	---	-------------------------------------	--	-------------------

ანოტაცია

$H_+ \subset H \subset H_-$ ჰილბერტის სივრცეთა სამეულზე განიხილება ორნშტეინ-ულენბეკის ტიპის სტოქასტური დიფერენციალური განტოლება $dX_t = AX_t dt + \sigma B dW_t$, სადაც $\sigma > 0$ ვოლტელობის კოეფიციენტი, ხოლო $A = \sum_{i=1}^n a_i A_i$ დრეიფის ოპერატორია, რომლის წარმოდგენაშიც $a_1 a_2 \dots a_m$ უცნობი კოეფიციენტებია და $A_1 A_2 \dots A_m$ ცნობილი წრფივი ოპერატორებია. X_t პროცესი იღებს მნიშვნელობებს E სეპარაბელურ ჰილბერტის სივრცეში. როდესაც E რეფლექსური სივრცეა a_k პარამეტრები შეფასებულია მაქსიმალური დასაჯერობის მეთოდით, ხოლო σ ვოლტელობის კოეფიციენტი შეფასებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდით. ნაჩვენებია, რომ A ოპერატორის შეფასება ასიმპტოტურად ნორმალურია, ხოლო σ -ს შეფასებისას გამოიყენება ფიშერის ინფორმაცია.

27*	L. Mdzinarishvili	On the formula of Cohen-Vogt relatively pointed topological semi-simplicial sets. Georgian Math. J.	degruyter.com to appear	de gruyter	17
-----	-------------------	--	----------------------------	------------	----

ანოტაცია

ცნობილი კოენ-ფოგტის ფორმულა, რომელიც დამტკიცებული იყო ტოპოლოგიურ სივრცეთა კატეგორიაზე, მიღებულია ტოპოლოგიური ნახევრად სიმპლიციალური სიმრავლეებისათვის.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატა-
---	---------------	--------------------	---------------------------

	მომხსენებლები		რეზიუმე და აბსტრაქტი
1	T. Buchukuri, O. Chkadua, D. Natroshvili	Pseudo-oscillation Problems of the Thermopiezoelectricity Theory without Energy Dissipation	International conference: VI Annual Meeting of the Georgian Mathematical Union & the Georgian Mechanical Union, 05.09-09.09 , 2016, Batumi, Georgia (Member of the Scientific Committee)
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>ნაშრომში განხილულია პიეზოდრეკადობის თეორიის ფსევდოოცილების სასაზღვრო ამოცანები თერმული ეფექტების გათვალისწინებით ენერჯის დისიპაციის არარსებობის შემთხვევაში. პოტენციალთა თეორიისა და ინტეგრალური განტოლებების თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის თეორემები და დადგენილია ამონახსნების ყოფაქცევა სინგულარული წირების მიდამოში.</p>			
2	Gogi Pantsulaia and Givi Giorgadze	Representation of the Dirac Delta function in $C(R^\infty)$ in terms of $(1,1,\dots)$ -ordinary Lebesgue measures in R^∞	International conference: VI Annual Meeting of the Georgian Mathematical Union & the Georgian Mechanical Union, 05.09-09.09 , 2016, Batumi, Georgia
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მიღებულია $C(R^\infty)$-ზეგანსაზღვრული უსასრულო განზომილებიანი დირაკის დელტა ფუნქციონალის წარმოდგენა R^∞-ზეგანსაზღვრული $(1,1,\dots)$-ორდინალური "ლებეგისზომის" საშუალებით და შესწავლილია მისი ზოგიერთი თვისება</p>			
3	Gogi Pantsulaia, Givi Giorgadze,	<i>On a Linear Partial Differential Equation of the Higher Order in Two Variables with Initial Condition whose Coefficients are Real- Valued Simple Functions</i>	The Second International Conference on Application of Mathematics and Informatics in Natural Sciences and Engineering Dedicated to the Centenary of Andro Bitsadze I.Vekua Institute of Applied Mathematics of I.Javakhishvili Tbilisi State University 21-23 September, 2016
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>[Georg. Inter. J. Sci. Tech., Volume 3, Issue 1 (2011), 107-129] ნაშრომში შემუშავებული მიდგომით მიღებულია საწყის პირობიანი მაღალი რიგის წრფივი კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების სუსტი ამონახსნის ცხადი სახით წარმოდგენა, როცა</p>			

კოეფიციენტები წარმოადგენენ ნამდვილ მნიშვნელობიან მარტივ საფეხურა ფუნქციებს.			
4	გოგი ფანცულაია	[-1/2,1/2] ინტერვალზე უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების სტრუქტურის შესახებ	Seminars of I. Vekua Institute of Applied Mathematics, Date and Time: Wednesday, March 9 14:00 Location: Ilia Vekua Lecture Hall, I. Vekua Institute of Applied Mathematics of TSU
<p style="text-align: center;">მოხსენების ანოტაცია</p> <p>ინტერვალზე უნიფორმულად განაწილებული მიმდევრობების სტრუქტურის [- 1/2,1/ 2] აღწერა იამასაკი-ხარაზიშვილის μ ზომის ტერმინებში შესწავლილი იყო [Georg. Inter. J. Sci. Tech.,4(3) (2013), 21--27] ნაშრომში და ნაჩვენებია იყო რომ R^∞ სივრცის μ-თითქმის ყველა ელემენტი არის უნიფორმულად განაწილებული [- 1/2,1/ 2] ინტერვალზე. აღნიშნულ მოხსენებაში ჩვენ ვაჩვენებთ, რომ იგივე სიმრავლე წარმოადგენს ჰაარის ულსიმრავლეს R^∞ სივრცეში. ასევე, ჩვენ ვაჩვენებთ, რომ სოლოვეის მოდელში [-1/ 2,1/ 2] ინტერვალზე უნიფორმულად (მოდულით 1) განაწილებული მიმდევრობები წარმოადგენენ ჰაარის ულსიმრავლის დამატებას R^∞ სივრცეში.</p>			
5	G. Pantsulaia, N. Rusiashvili	On A Certain Version of The Erdos Problem	Workshop in Discrete Mathematics Date: 31 October - 1 November, 2016 Location: TICMI (Tbilisi)

მოხსენების ანოტაცია

შესწავლილია ერდოშის პრობლემის ერთი ვერსია. უფრო ზუსტად, ნაჩვენებია რომ არ არსებობს ისეთი კონსტანტა C რომელიც უზრუნველყოფს C -ზე მეტი μ -გარე ზომის მქონე ბრტყელ სიმრავლეში ისეთი სამი წერტილის არსებობას, რომელთა მიერ განსაზღვრული სამკუთხედის ფართობი 1-ის ტოლია ნაჩვენებია, ასევე რომ წინადადება " ყოველი ბრტყელი ∞ გარე ზომის სიმრავლე შეიცავს სამ წერტილს, რომელთა მიერ განსაზღვრული სამკუთხედის ფართობი 1-ის ტოლია" დამოუკიდებელია სიმრავლეთა (ZF)&(DC) თეორიისაგან. ერდოშის ამოცანა შესწავლილია shy -ზომებისათვის და ნაცვენებია რომ ყოველი რიცხვი $[0,1[$ ინტერვალიდან წარმოადგენს ერდოშის კოეფიციენტს. აგებული ჰაარის აზრით მასიური სიმრავლე ჰილბერტის L_2 სივრცეში, რომელიც არ შეიცავს ისეთ სამ წერტილს, რომელთა მიერ განსაზღვრული სამკუთხედის ფართობი 1-ის ტოლია. ასევე, ნაჩვენებია, რომ თავისთავზე მკვრივ არათვლად არალოკალურად კომპაქტურ პოლონურ ჯგუფზე განსაზღვრული ყოველი ძვრების მიმართ ინვარიანტული კვაზი-ფინიტური დიფუზიური ბორელის μ ზომისათვის არ არსებობს ისეთი დადებითი კონსტანტა C რომელიც უზრუნველყოფს C -ზე მეტი μ -ზომის მქონე სიმრავლეში ისეთი სამი წერტილის არსებობას, რომელთა მიერ განსაზღვრული სამკუთხედის ფართობი 1-ის ტოლია. ეს შედეგი უარყოფითად პასუხობს პ.ერდოშის მიერ

[P. Erdős, Set-theoretic, measure-theoretic, combinatorial, and numbertheoretic problems concerning point sets in Euclidean space, *Real Anal. Exchange*, 4(2), (1978/79), 113–138] ნაშრომში დასმული ამოცანის ერთ მოდიფიკაციას.

6	D.Ugulava, D.Zarnadze, M.Kublashvili, P.Tsereteli	On calculation of the inverse of multidimensional harmonic oscillator on Schwartz space	South-Caucasus Computing and Technology Workshop- SCCTW'2016. October 3-7, 2016 . Tbilisi, Georgia
---	---	---	--

ანოტაცია

განხილულია მრავალგანზომილებიანი ჰარმონიული ვრცეში. ეს არის შრედინგერის ამოცანა, რომელიც მნიშვნელოვანია თეთრი ხმაურის შესწავლისათვის და აგრეთვე დაკავშირებულია სუპერსიმეტრიულობასთან ქვანტურ მექანიკაში. თეორიული გამოკვლევები განხორციელდა ევკლიდეს მრავალგანზომილებიან სივრცეზე განსაზღვრულ შვარცის ფუნქციათა სივრცეში. გამოყენებულ იქნა უმცირეს კვადრატთა მეთოდი: ბაზისურ ფუნქციებად აღებულია ერმიტის ფუნქციების ნამრავლი, რომელიც ქმნის ბაზისს ამ სივრცეში და წარმოადგენს განხილული ოპერატორის საკუთრივ ფუნქციებს. დამტკიცებულია მიახლოებითი ამონახსნების კრებადობა ზუსტი ამოხსნისაკენ.

7	D.Ugulava	Approximation in mean on	VII Intern. Joint conference of the Georgian Math. Union and
---	-----------	--------------------------	--

		homogeneous spaces	Georgian Mechanical Union, September 5-9, 2016 Batumi, Georgia. Book of Abstracts, p. 240
--	--	--------------------	---

ანოტაცია

ზოგიერთი სახის ერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრულ კვადრატით ინტეგრებად ფუნქციათა სივრცეებისათვის დამტკიცებულია ჯეკსონის ტიპის თეორემა. ამ მიზნით შემოყვანილი და შესწავლილია გარკვეული ტიპის უწყვეტობის მოდულები. თეორემა ილუსტრირებულია იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთგვაროვან სივრცედ აღებულია სამგანზომილებიანი ევკლიდეს სივრცის ერთეულოვანი სფერო.

8	S.Kharibegashvili	On the solvability of one multidimensional boundary value problem for a semilinear hyperbolic equation	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations "QUALITDE-2016" dedicated to the 100th birthday anniversary of academician A. Bitsadze, Tbilisi, Georgia, December 24 - 26, 2016.
9	O.Jokhadze, S.Kharibegashvili	On the solvability of the mixed problem for the semilinear wave equation with a nonlinear boundary condition	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations "QUALITDE-2016" dedicated to the 100th birthday anniversary of academician A. Bitsadze, Tbilisi, Georgia, December 24 - 26, 2016.
	S.Kharibegashvili	Life and scientific activities of academician Andria Bitsadze	The Second International Conference on Applications of Mathematics and Informatics in Natural Sciences and Engineering dedicate to the Centenary of Andro Bitsadze. Tbilisi, Georgia, September 21-23, 2016.

მოსხენებათა ანოტაციები

გამოკვლეულია ერთი სასაზღვრო ამოცანა მრავალგანზომილებიან არაწრფივ ჰიპერბოლურ განტოლებათა ერთი კლასისათვის იტერირებული ტალღისოპერატორით მთავარ ნაწილში. ნაპოვნი პირობები ამოცანის მონაცემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ამონახსნის არსებობასადა

ერთადერთობას. განხილულია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ამოცანას არ გააჩნია ამონახსნი.			
9. ტალღის ნახევრად წრფივი განტოლებისათვის შესწავლილია შერეული ამოცანა ნეიმანის ტიპისწრფივი და არაწრფივი სასაზღვრო პირობებით. გამოკვლეულია გლობალური ამონახსნის არსებობისა და არარსებობის საკითხები. განხილულია შემთხვევა, როცა მოტანილი საკმარისი პირობებიდან ერთ - ერთი მაინც ირღვევა. ნაჩვენებია, რომ ამ შემთხვევაში არსებობს ფეთქებადი ამონახსნი.			
10	Yuri Bezhuashvili	Asymtotic distribution of the eigenvalues and eigenfuctons in basic boindary volue oxciffation problems in hemitropic elasticity	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის და მექანიკოსთა კავშირის VII გაერთიანებულ დღეს საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 5-9 სექტემბერი, 2016
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განხილულია ჰემიტროპული დრეკადობის თეორიის რხევის სამგანზომილებიანი ამოცანები. დადგენილია საკუთრივი რიცხვებისა და საკუთრივი ფუნქციებისათვის ასიმპტოტური ფორმულები.</p>			

11	J.Peradze	A numerical algorithm of solving a nonlinear Kirchhoff string equation and its error http://conference.ens-2016.tsu.ge/en/lecture/view/334	The Fourth Scientific Conference in Exact and Natural Sciences ENS-2016, Tbilisi State University, January 26- 29, 2016
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა ჰიპერბოლური ტიპის კვაზიწრფივი განტოლებისათვის. სივრცული და დროის ცვლადების მიმართ ლოკალური ამონახსნის მიახლოებისმიზნით გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და სიმეტრიული სხვაობიანი სქემა. შედეგად მიღებული დისკრეტულ განტოლებათა სისტემა ამოხსნილია ჰიპერბოლური მეთოდით. შეფასებულია ალგორითმის სრული ცდომილება.</p>			
12	J.Peradze, Z.Tsiklauri	A numerical algorithm for the Woinowsky-Krieger nonlinear static beam problem http://www.viam.science.tsu.ge/old/others/2016/abstracts.html	<u>XXX Enlarged Sessions of the Seminar</u> VIAM TSU, Tbilisi, 20–22 April, 2016
<p>მოხსენების ანოტაცია</p>			

განხილულია სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლები-სათვის, რომელიც აღწერს ძელის სტატიკურ მდგომარეობას. მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და ნიუტონის იტერაციული პროცესი. შერმან-მორისონის ფორმულის გამოყენებით მიღებულია იაკობიანის შებრუნებუ-ლი მატრიცის ცხადი სახე.

13	J.Peradze	The convergence of an iteration method for the plate under the action of an symmetric load http://www.viam.science.tsu.ge/old/others/2016/abstracts.html	<u>XXX Enlarged Sessions of the Seminar of VIAM</u> TSU, Tbilisi, 20-22 April, 2016
----	-----------	---	---

მოხსენების ანოტაცია
განხილულია ტიმოშენკოს ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა u , w და ψ ფუნქციების მიმართ. $u = u(w)$ და $\psi = \psi(w)$ დამოკიდებულებების მიღების შედეგად გამოყვანილია არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება w ფუნქციის მიმართ. ამ განტოლებისათვის მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი და იაკობის იტერაციული პროცესი. დადგენილია იტერაციული პროცესის კრებადობის პირობები და შეფასებულია მისი ცდომილება.

14	J.Peradze	On a integro-differential equation for a nonlinear static plate, <i>Book of Abstracts</i> , 178-179 http://www.gmu.ge/Batumi2016/	VII International Conference of the Georgian Mathematical Union and Georgian Mechanical Union, Batumi, September 5-9, 2016
----	-----------	--	--

მოხსენების ანოტაცია
სტატიკური ფირფტისათვის დონელ-ვლასოვის არაწრფივ განტოლებათა სისტემიდან გამოყოფილია კირჰოფის ტიპის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება განივი გადაადგილების ფუნქციის მიმართ.

15	G.Berikelashvili, J.Peradze	Iterative solution of a non-linear static beam equation http://www.viam.science.tsu.ge/files/conferences/bitsadze100/abstracts/Peradze.pdf	The Second International Conference on Application of Mathematics and Informatics in Natural Sciences and Engineering Dedicated to the Centenary of Andro Bitsadze, 21-23 September, 2016
----	--------------------------------	--	---

მოხსენების ანოტაცია
მეოთხე რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლება, რომელიც აღწერს ძელის სტატიკურ მდგომარეობას, შეცვლილია ინტეგრალური განტოლებით. ამ განტოლების ამოსახსნელად გამოყენებულია პიკარის ტიპის იტერაციული პროცესი. დამტკიცებულია

პროცესის კრებადობა და შეფასებულია კრებადობის სიჩქარე.			
16	Z.Kalichava, J.Peradze	Approximation with respect to the spatial variable of the solution of a nonlinear dynamic beam problem http://cadcamge.ch/2016/index.php?do=pro	South-Caucasus Computing and Technology Workshop, SCCTW'2016, Tbilisi, 3-7 October, 2016
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>განხილულია საწყის-სასაზღვრო არაწრფივი ამოცანა ტიმოშენკოს დინამიური ძელისათვის. სივრცული ცვლადის მიმართ ამონახსნის მიახლოების მიზნით გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი. შეფასებულია ამ მეთოდის ცდომილება.</p>			
17	A. Kirtadze	On the classification of sets and function from the of view of their measurability	VII International Conference of the Georgian Mathematical Union and Georgian Mechanical Union, September 5-9, 2016, Batumi, Georgia
<p>განხილულ იქნა სიმრავლეთა და ფუნქციათა ზომადობის საკითხის განსხვავებული მიდგომები და მათი გამოყენებები. (ვიყავი სამეცნიერო კომიტეტის წევრი)</p>			
18	A. Kirtadze	Some applications of set-theoretical and algebraic methods to measurability of sets and functions	Workshop in Discrete Mathematics, 31.10-01.11, 2016, Tbilisi, Georgia
<p>მოყვანილი იქნა ზომის გაგრძელების სიმრავლურ-თეორიული და ალგებრული მეთოდები. მოყვანილ იქნა ზომის გაგრძელების სიმრავლურ-თეორიული მეთოდი აბსტრაქტული სივრცეებისათვის. (ვიყავი მიწვეული მომხსენებელი).</p>			
19	B. Kirtadze	Small sets from the point of view of the measure extension problem	Seminar of Department of Complex Analysis and Potential Theory, 14-20 March, 2016, Kiev, Ukraine
<p>განხილულ იქნა ზომის თვალსაზრისით მცირე სიმრავლეების როლი ზომის გაგრძელების ამოცანაში.</p>			
20	T. Vekia, D. Shulaia	The Green's function for one time independent multi-Velocity transport equation	ივ. ჯავახიშვილის თსუ გმი-ს სემინარის XXX საერთაშორისო გაფართოებული სხდომები. 20-22 აპრილი 2016 წ.
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ნაშრომის მიზანია გრინის ფუნქციის აგება ერთი არასტაციონარული გადატანის მრავალსიჩქარიანი</p>			

<p>განტოლებისათვის, რომლითაც აღიწერება ნეიტრონების დიფუზია ერთგვაროვან უსასრულო გარემოში. ამ მიზნით გამოიყენება შესაბამისი მახასიათებელი განტოლების ელემენტარული რეგულარული და სინგულარული საკუთრივი ფუნქციებით გაშლის მეთოდი. განხილილია ბოლცმანის ინტეგროდიფერენციალური განტოლების ერთ-ერთი სახე.</p>			
21	თ. ვეკუა, გ. მაქაცარია ია რამიშვილი	„უმნიშვნელო“ არაწრფივობის „მნიშვნელოვანი“ გავლენა ერთი კლასის სინგულარულ ელიფსურ სისტემათა ამონახსნთა ყოფაქცევაზე სინგულარობის მახლობლობაში	ივ. ჯავახიშვილის თსუ გმი-ს სემინარის XXX საერთაშორისო გაფართოებული სხდომები. 20-22 აპრილი 2016 წ.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენება შეეხება არაწრფივი სინგულარულ ელიფსურ სისტემათა საკმარისად ფართო კლასებს, რომელთა არაწრფივობა, გარკვეული აზრით, უმნიშვნელოა. დადგენილია, რომ ამ სისტემათა ამონახსნებს აქვთ პრინციპიალურად განსხვავებული სტრუქტურა შესაბამის წრფივ სინგულარულ ელიფსურ სისტემათა ამონახსნებთან შედარებით.</p>			
22	თ. ვეკუა, გ. მაქაცარია ნ. მანჯავიძე	ლიუვილის ტიპის თეორემები პირველი რიგის სინგულარული ორგანზომილებიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემებისათვის	ივ. ჯავახიშვილის თსუ გმი-ს სემინარის XXX საერთაშორისო გაფართოებული სხდომები. 20-22 აპრილი 2016 წ.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენება შეეხება პირველი რიგის ორგანზომილებია სინგულარულ სისტემათა საკმარისად ფართო კლასების ამონახსნთა სტრუქტურის კვლევას, რომელთაც უსასრულოდ შორეული წერტილის მახლობლობაში აქვთ მოცემული ასიმპტოტიკა. მიღებულია ლიუვილის ტიპის თეორემათა - გარკვეული აზრით ზუსტი ანალოგები.</p> <p>იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილია თვისობრივად ახალი ფაქტები, რომელთაც არა აქვთ ადგილი კლასიკურ შემთხვევაში (კოში-რიმანის კლასიკური სისტემის ანუ ჰოლომორფული ფუნქციების შემთხვევაში).</p>			
23	ნ. შავლაყაძე	ინტეგრო-დიფერენციალური განტოლების ამოხსნა და მისი გამოყენება დრეკადობის წრფივ თეორიაში	საერთაშორისო კონფერენცია VII International Joint Conference of Georgian Mathematical Union and Georgian Mechanical Union , 5.09-9.09, 2016, ქ.ბათუმი, საქართველო

<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>დასმულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის საკონტაქტო ამოცანები სხვადასხვა მასალისაგან შედგენილი დრეკადი ფირფიტისა და თხელკედლიანი არაერთგვაროვანი დრეკადი ელემენტის (ჩართვის, სტრინგერის) ურთიერთქმედების შესახებ, როდესაც საკონტაქტო პირობა ითვალისწინებს წებოს თხელი ფენის არსებობას. მიღებულია ექვივალენტური სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება. ჩატარებულია ამ განტოლების ასიმპტოტური გამოკვლევა. ორთოგონალურ პოლინომთა მეთოდის გამოყენებით მიღებული უსასრულო წრფივი ალგებრულ განტოლებათა სისტემები გამოკვლეულია რეგულარობაზე.</p>			
24	ნ. შავლაყაძე	ერთი კლასის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლების ეფექტური ამოხსნა.	<p>ოსუ ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარის სხდომები.</p> <p>20-22 აპრილი, თბილისი, 2016</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>ერთი კლასის სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება სხვადასხვა სახის კოეფიციენტისათვის ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნების და ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით დაიყვანება კარლემანის ტიპის (გადაადგილებიანი) სასაზღვრო ამოცანაზე ან რიმანის ამოცანაზე, რომელთა ამოხსნები წარმოდგენილია ცხადი სახით. მიღებულია ამონახსნის ასიმპტოტური შეფასებები სინგულარულ წერტილებში.</p>			
25	L.Giorgashvili , M.Kharashvili, , R.Meladze	, <i>Boundary Value Problems for the Navier-Stokes Equations in the Half-Space.</i>	<p>1. .VII Annual International Conference of the Georgian Mathematical Union. Batumi, 2016, September 5-9, pp. 124.</p>
<p>მოსხენების ანოტაცია</p> <p>მოსხენებაში გადმოცემული იყო მომხსენებლის მიერ თანამომხსენებლებთან ერთად შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ეხება ნავიე-სტოქსის განტოლებისათვის სასაზღვრო ამოცანების შესწავლას ნახევარ-სივრცისათვის. განხილულია ის შემთხვევა, როდესაც ნახევარ-სივრცის საზღვარზე მოცემულია ძაბვის ვექტორის მხები მდგენელები და სიჩქარის ვექტორის ნორმალური მდგენელი და პირიქით. დამტკიცებულია ერთადერთობის თეორემები. ამოხსნები მიღებულია კვადრატურებში.</p>			
26	L.Giorgashvili, Sh.Zazashvili	<i>Mathematical Problems of Thermoelasticity of Bodies with Microstructure and Microtemperatures.</i>	<p><i>Mathematical Problems of Thermoelasticity of Bodies with Microstructure and Microtemperatures.</i> VII Annual</p>

			International
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში გადმოცემული იყო მომხსენებლების მიერ ერთად შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ეხება მიკროსტრუქტურული სხეულებისათვის თერმოდრეკადობის ფსევდო-რხევის სასაზღვრო ამოცანების შესწავლას მიკროტემპერატურის, მიკრობრუნვის და მიკროდაჭიმულობის გათვალისწინებით. აგებულია შესაბამისი დიფერენციალური განტოლება თა სისტემის ამონახსნის ფუნდამენტური მატრიცი გამოსახული ელემენტარულ ფუნქციებში. გრინის ფორმულების გამოყენებით დამტკიცებულია დირიხლესა და ნეიმანის სასაზღვრო ამოცანების ამონახსნის ერთადერთობის თეორემები. შედგენილია მარტივი, ორმაგი და მოცულობითი პოტენციალები, შესწავლილია მათი თვისებები. პოტენციალთა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით შესწავლილია სასაზღვრო ამოცანების ამონახსნის არსებობის თეორემები.</p>			
27	ვ. პაატაშვილი	განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა სმირნოვის ცვლადმაჩვენებლიანი კლასების შესახებ	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის ოცდამეათე საერთაშორისო სხდომები 20-22 აპრილი, თბილისი
<p>ანოტაცია</p> <p>შესწავლილია აღნიშნული კლასის ფუნქციათა კოშის განზოგადებული ინტეგრალით წარმოდგენადობის და კოშის ტიპის განზოგადებული ინტეგრალის სმირნოვის კლასისადმი მიკუთვნების საკითხები.</p>			
28	Z.Tsiklauri	On the iterative solution of a system of discrete beam equations. Book of Abstracts, 238 http://www.gmu.ge/Batumi2016/	VII International Conferece of the Georgian Mathematical Union and Georgian Mechanical Union, Batumi, September 5-9, 2016
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განხილულია საწყის-სასაზღვრო არაწრფივი ამოცანა ტიმოშენკოს დინამიური ძელისათვის. მის ამოსახსნელად გამოყენებულია ვარიაციული და სხვაობიანი მეთოდები. მიღებული ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად გამოყენებულია იტერაციული მეთოდი. შეფასებულია მისი ცდომილება.</p>			
29	Z.Tsiklauri	Approximate Solution of a Nonlinear Itegro-Differential Beam Equation http://www.viam.sciece.tsu.ge/fil	The Second International Conference on Application of Mathematics and Informatics in Natural Sciences and

		es/conferences/bitsadze100/abstracts/Peradze.pdf	Engineering Dedicated to the Centenary of Andro Bitsadze, 21-23 September, 2016.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის, რომელიც აღწერს ძელის დინამიურ მდგომარეობას. მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი კრანკ-ნიკოლსონის სხაობიანი სქემა და იაკობის იტერაციული პროცესი. შეფასებულია იტერაციული პროცესის ცდომილება.</p>			

30	A.Jaghmaidze, G.Karseladze, G.Sadunishvili	Of a nonclassical problem of statics microstretch materials with microstretch materials with microtemperatures for boole	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VII საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 04-10 სექტემბერი 2016წ.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>ნაშრომში განხილულია თერმოდრეკადობის სტატიკის არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები ბირთვისთვის მიკროგაჭიმვების მქონე სხეულისათვის, მიკროტემპერატურების გათვალისწინებით. შესაბამის განტოლებათა სისტემის ამოხსნის ზოგადი წარმოდგენების საშუალებით დასმული ამოცანების ამოხსნები მიღებულია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით.</p>			
31	V. Tsutskiridze, L. Jikidze	The nonstationary flow of a conducting fluid in a plane pipe in the presence of a transverse magnetic field.	VII International joint conference of the Georgian Mathematical Union & Georgian Mechanical Unions: Continuum mechanics and related problems of analysis (Dedicated to 125-th birthday anniversary of academician N. Muskhelishvili). Batumi, 2016,

			September 5-9, Georgia. Book of Abstracts, p. 239
<p>აბსტრაქტი: შესწავლილია ბლანტი არაკუმშვადი გამტარი სითხის დინება ორ უსასრულო სიგრძის მქონე ბრტყელ მილში(კედლებს შორის) , როდესაც მოძრაობის მართობულად მოდებულია გარეგანი ერთგვაროვანი მაგნიტური ველი. ლაპლასის ინტეგრალური გარდაქმნების გამოყენებით მიღებულია მაგნიტოჰიდროდინამიკის განტოლებათა სისტემის ამონახსნები, როდესაც სითხის გამტარებლობის და კედლების გამტარებლობის კოეფიციენტი ნებისმიერია.</p> <p>კოპლექსური ინტეგრალები , რომლის მეშვეობითაც გამოსახულია ამონახსნები გამოთვლილია კონკრეტულ შემთხვევებში. გამოთვლილია სითხის ფიზიკური მახასიათებლები(ხახუნის ძალა სითხეში და მილის კედლებზე, სითხის საშუალო სიჩქარე და სითხის ხარჯი).</p>			
32	T. Jangveladze, M. Gagoshidze	Hoph Bifurcation and its Computer Simulation for One- Dimensional Maxwell Model	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები. 22–24 აპრილი, 2016 წ., თბილისი. კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების სექციის თავმჯდომარე
<p>მოხსენების ანოტაცია</p>			
<p>მაქსველის სისტემაზე დაფუძნებული ერთგანზომილებიანი არაწრფივი მოდელისათვის მოცემულია ჰოფის ბიფურკაციული პროცესის აღწერა და მისი კომპიუტერული მოდელირება.</p>			
33	T.Jangveladze, Z.Kiguradze	Stabilization of Solution and Discrete Analogs for One Nonlinear Integro-Differential Equation Based on Maxwell System	The Second International Conference on "Application of Mathematics and Informatics in Natural Sciences and Engineering" Dedicated to the Centenary of Andro Bitsadze. September 21-23,

			Tbilisi, Georgia, 2016. (Vice-Chairman)
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მაქსველის სისტემაზე დაფუძნებული ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისათვის გამოკვლეულია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის სტაბილიზაცია და დისკრეტული ანალოგები.</p>			
34	Z.Kiguraze, M.Kratsashvili	Finite Difference Scheme for One Nonlinear Partial Integro-Differential Equation. Rep. Enlarged Sess. Semin. I.Vekua Appl. Math.	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები. 22–24 აპრილი, 2016 წ., თბილისი. კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების სექციის თანახელმძღვანელი
35	Z.Tediashvili	The Basic BVP of Thermo-Electro-Magneto-Elasticity for Half Space	International conference: VI Annual Meeting of the Georgian Mathematical Union & the Georgian Mechanical Union, 05.09-09.09 , 2016, Batumi, Georgia
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში განხილულია თერმო-ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის თეორიის ძირითადი სასაზღვრო ამოცანა ნახევარსივრცისათვის. ფურიეს გარდაქმნის გამოყენებით დამტკიცებულია ერთადერთობის თეორემები. გარკვეულ ბუნებრივ შეზღუდვებში, რომლებსაც ვადავებთ სასაზღვრო ვექტორ-ფუნქციას, შესაბამისი დირიხლეს ამოცანის ერთადერთი ამონახსნი წარმოდგენილია ცხადი სახით შებრუნებული ფურიეს გარდაქმნის მეშვეობით.</p>			

36	მ. ბერიაშვილი	ზომადობის ცნების ლოგიკური და სიმრავლურ-თეორიული ასპექტები	ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, ბაკურიანი, 26-28 თებერვალი
<p>მოხსენების ანოტაცია</p>			

ჩვენ განვიხილავთ სიმრავლეთა და ფუნქციათა ზომადობის მოდიფიცირებულ ვერსიას და გავაანალიზებთ ლოგიკური და დამატებითი სიმრავლურ-თეორიული აქსიომების დახმარებით. მთავარი განსხვავება ამ მიდგომასა და კლასიკურ განსაზღვრებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არა რამე კონკრეტულ ზომას, არამედ ზომათა სხვადასხვა კლასებზე გვექნება საუბარი.			
37	M. Beriashvili	Some Applications of Projective Sets in Study of Absolutely Non-measurable Functions	VII International Joint Conference of Georgian Mathematical Union & Georgian Mechanical Union, 5-9 September, Batumi
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>ჩვენ განვიხილავთ აბსოლუტურად არაზომად ფუნქციებს, რომელთაც ექნებათ პროექციული გრაფები სიმრავლეთა თეორიის კონკრეტულ მოდელში.</p>			
38	M. Beriashvili	Absolutely nonmeasurable functions with good descriptive properties	Workshop in Discrete Mathematics, 31.10-01.11, 2016, Tbilisi
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში განხილულია და აგებულია სიმრავლეთა თეორიის სხვადასხვა მოდელები, რომელ მოდელებშიც აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციები ფლობენ კარგ დესკრიფციულ სტრუქტურებს.</p>			
39	ფ. დვალისვილი, ი. რამისვილი	განაწილებული დაგვიანების შემცველი ერთი კლასის ოპტიმიზაციის ამოცანის კორექტულობის შესახებ	ივ. ჯავახისვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXX საერთაშორისო გაფართოებული სხდომები. 20-22 აპრილი 2016
<p>მოხსენებათა ანოტაცია</p> <p>გამოკვლეულია ინტეგრალური ფუნქციონალის მინიმუმის უწყვეტობის საკითხი განტოლების მარჯვენა მხარისა და ინტეგრანტის შესფოთებების მიმართ, როცა შემფოთებები მცირე ინტეგრალური აზრით.</p>			
40	Shakro Tetunashvili	A Note on N. Bary's One Conjecture	VII International Joint Conference of Georgian Mathematical Union & Georgian Mechanical Union Continuum Mechanics and Related Problems of Analysis Dedicated to 125-th birthday anniversary of academician N. Muskhelishvili; September 5 – 9

			2016; Batumi, Georgia.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში მოყვანილია ჩვენ მიერ დამტკიცებული თეორემა, საიდანაც კერძოდ, გამომდინარეობს უარყოფითი პასუხი ნ. ბარის (1960) ჰიპოთეზაზე იმის შესახებ, რომ, თუ ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამების ქვემიმდევრობა ყველგან კრებადია ნულისაკენ, მაშინ კერძო ჯამების ინდექსთა მიმდევრობა უნდა იზრდებოდეს ნებისმიერ გეომეტრიულ პროგრესიაზე უფრო სწრაფად.</p>			
41	თ. ტეტუნაშვილი	სიმრავლეთა სასრული ოჯახების კონსტიტუენტების შესახებ	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXX გაფართოებული სხდომები; 2016 წლის 20-22 აპრილი; თსუ. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განხილულია საკითხი სიმრავლეთა ნებისმიერი სასრული ოჯახის გეომეტრიული რეალიზაციის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიმრავლეთა დამოუკიდებელი ოჯახების გეომეტრიულ რეალიზაციებს და იმფიგურებს, რომელთა საშუალებით შეიძლება განხორციელდეს აღნიშნული რეალიზაციები. წარმოდგენილია ზემოაღნიშნული რეალიზაციების შედეგად წარმოქმნილი კონსტიტუენტების ზოგიერთი გეომეტრიული თვისება.</p>			
42	Z. Kvatadze T. Shervashidze	Limiting properties of the Nonparametric of a Density Function Constructed by means of conditionally Independent Observations from the Keilson-Woshart Class	Estimation XXX Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of applied Mathematics (VIAM), of Ivane Javakhishvili. Tbilisi (TSU) April 20-22, 2016.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>ნაშრომში განხილულია $P(\xi_1 = 1) = p$ და $P(\xi_1 = 0) = 1 - p$ კანონით განაწილებული $\{\xi_n\}_{n \geq 1}$ სტაციონარული მიმდევრობით მართვადი პირობითად დამოუკიდებელი $\{\Psi_n\}$ შემთხვევითი სიდიდეების მიმდევრობა. როდესაც $P_{Y_1/\xi_1=1}$ და $P_{Y_1/\xi_1=0}$ პირობით განაწილებებს გააჩნიათ $f_1(x)$ და $f_0(x)$ სიმკვრივეები $L_2(-\infty, \infty)$ კლასიდან, გარკვეულ პირობებში დადგენილია $\bar{f}(x) = pf_1(x) + (1-p)f_0(x)$ სიმკვრივესა და $\{Y_n\}$ დაკვირვებების საშუალებით მიღებულ მის გულოვან შეფასებას შორის სიახლოვის სიზუსტე.</p>			
43	Z. Kvatadze T. Shervashidze	Precision of estimation of nonparametrical core density constructed by	VII INTERNATIONAL JOINT CONFERENCE OF THE

		observation with chain dependence	GEORGIAN MATHEMATICAL UNION&GEORGIAN MEXANICAL UNION september 5-9 2016. Batumi. Georgoan. Book of Abstracts, p. 228.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განხილულია $\{\xi_n Y_n\}_{n \geq 1}$ ვიწრო აზრით სტაციონარული მიმდევრობა, სადაც $\{Y_n\}_{n \geq 1}$ ჯაჭვურად დამოკიდებული მიმდევრობა მართვადია. როდესაც ორმდგომარეობითი მარკოვის რეგულარული ჯაჭვით. როდესაც $P(\xi_1 = 1) = \pi_1$ და $P(\xi_1 = 0) = \pi_2$ განაწილების პირობებში $P_{Y_1/\xi_1=1}$ და $P_{Y_1/\xi_1=0}$ პირობით განაწილებებს გააჩნიათ $f_1(x)$ და $f_2(x)$ სიმკვრივეები L_2 კლასიდან დადგენილია $\bar{f}(x) = \pi_1 f_1(x) + \pi_2 f_2(x)$ სიმკვრივესა და $\{Y_n\}$ დაკვირვებებით აგებულ მის გულოვან შეფასებას შორის სიახლოვის სიზუსტე.</p>			
44	L. Mdzinarisvili	On homotopy groups of infinity wedge.	International conference: VI Annual Meeting of the Georgian Mathematical Union & the Georgian Mechanical Union, 05.09-09.09 , 2016, Batumi, Georgia
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>უსასრულო თაიგულისთვის დამტკიცებულია ფორმულა ჰომოტოპიური ჯგუფების შესახებ.</p>			

2) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	J.Gwinner, D. Natroshvili,	Contact Problems in Piezoelectricity -Mathematical Modelling and Boundary Element Approximation	CMIS 2016 (Contact Mechanics International Symposium) -Warsaw, Poland-11-13 May-2016.
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში განხილულია პიეზოელექტრული სხეულების დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი უნილატერალური საკონტაქტო ამოცანები პიეზოელექტრული სხეულებისათვის და ამ ამოცანებისათვის დაფუძნებულია სასაზღვრო ელემენტთა მეთოდი.</p>			
2	D. Natroshvili, S. Mikhailov	Nonlinear boundary-domain integral equations method for	MAFELAP 2016 (THE MATHEMATICS OF FINITE

		scalar quasi-linear elliptic PDEs.	ELEMENTS AND APPLICATIONS), 2016, London, UK, 14 - 17 June, 2016. (Member of the Scientific Committee)
მოხსენების ანოტაცია			
არაწრფივი ელიფსური სკალარული განტოლებების ერთი კლასისათვის დამუშავდა სასაზღვო ამოცნების ამოხსნის ახალი მეთოდი კლასიკურ ფუნქციათა სივრცეებში, რომელიც დამყარებულია განზოგადებულ ლოკალიზებულ პოტენციალთა მეთოდზე.			
3	D. Natroshvili	Nonlinear boundary-domain integral equations method for scalar quasi-linear elliptic PDEs.	IMSE 2016 (14th conference on Integral Methods in Science and Engineering), Padova, Italy, 25-29 July, 2016. (Member of the Scientific Committee)
მოხსენების ანოტაცია			
არაწრფივი ელიფსური სკალარული განტოლებების ფართო კლასისათვის დამუშავდა სასაზღვო ამოცნების ამოხსნის ახალი მეთოდი კლასიკურ და განზოგადებულ ფუნქციათა სივრცეებში, რომელიც დამყარებულია განზოგადებულ ლოკალიზებულ პოტენციალთა მეთოდზე. გამოკვლეულია სხვადასხვა ტიპის კვაზიწრფივი განტოლებები და კემო შემთხვევებში დადგენილია მიღებული არაწრფივი ინტეგრალური განტოლებებისათვის მიმდევრობითი მიახლოების მეთოდის კრებადობა.			

4	O. Jokhadze, S.Kharibegashvili	Global and bow-up solutions of a mixed problem with nonlinear boundary conditions for a one- dimensional semilinear wave equation	ICNAAM, Rodos Palace Hotel, Rhodes, Greece, September 19- 25, 2016.
მოხსენებათა ანოტაციები			
1. სივრცით ერთ - განზომილებიანი ტალღის ნახევრად წრფივი განტოლებებისათვის შესწავლილია შერეული ამოცანა რობენის ტიპის არაწრფივი და დირიხლეს წრფივი სასაზღვრო პირობებით. განტოლებასა და სასაზღვრო პირობაში მონაწილე არაწრფივობის ბუნების გათვალისწინებით გამოკვლეულია ლოკალური, გლობალური და ფეთქებადი ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკითხები.			
5	A. Meskhi,	Sublinear perators in weighted grand Morrey spaces	The 11th AIMS Conference on Dynamical Systems, Differential Equations andApplications, July 1-5, 2016, Orlando, Florida, USA.

<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>მოხსენებაში გადმოცემული იყო მომხსენებლის მიერ ვ. კოვილაშვილთან და ჰ. რაფეიროსთან ერთად მირებული შედეგები მრავლადწრფივი ოპერატორების შემოსაზღვრულობის შესახებ წონიან გრანდ მორის სივრცეებში. განხილული ოპერატორები, გარდა მაქსიმალური, სინგულარული და პოტენციალის ოპერატორებისა, მოიცავს ასევე მათ კომპუტატორებს. მოხსენებაში გადმოცემული იყო ჰიპოთეზის ოპერატორების შეფასებები ნილპოტენტურ ლის ჯგუფებზე განსაზღვრულ წონიან მორის სივრცეებში.</p>			
6	<p>Л.Шанкишвили, Р.Арсанукаев</p>	<p>Оценки типа Зигмунда-Магнарадзе для дробного интегродифференцирования чисто мнимого порядка $\alpha=i\theta$</p>	<p>Актуальные проблемы математики и смежные вопросы (Материалы международной конф. "Мухтаровские чтения") Махачкала, 15-16 апреля -2016.</p>
<p>ანოტაცია</p> <p>ცნობილია, რომ წარმოსახვითი რიგის წილადი ინტეგრალები და წარმოებულები იქცევიან სინგულარული ინტეგრალის ანალოგიურად. ამ ინტეგრალებისთვის ჰელდერის სივრცეში მიღებულია ზიგმუნდ-მაგნარადის შეფასებები.</p>			
7	<p>Л.Шанкишвили, Ф.Юнусова</p>	<p>Оценки типа Зигмунда-Магнарадзе дробных интегралов и производных в модулях гладкости комплексного порядка.</p>	<p>Актуальные проблемы математики и смежные вопросы (Материалы международной конф. "Мухтаровские чтения") Махачкала, 15-16 апреля -2016.</p>
<p>ანოტაცია</p> <p>კომპლექსური რიგის წილადი ინტეგრალების და წარმოებულებისთვის ჰელდერის სივრცეში მიღებულია ზიგმუნდ-მაგნარადის შეფასებები და ნაჩვენებია რომ ეს ინტეგრალები შემოსაზღვრულად მოქმედებენ გაფართოებულ ჰელდერის სივრცეში.</p>			
8	<p>ნ. შავლაყაძე</p>	<p>ორგანზომილებიანი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენება ბლანტიდრეკადობის თეორიაში.</p>	<p>საერთაშორისო კონფერენცია IMSE 2016, 25-29 ივნისი, ქ. პადუა, იტალია</p>
<p>მოხსენების ანოტაცია</p> <p>განიხილება ეფექტური ამოხსნები ორგანზომილებიანი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისა, რომლებიც დაკავშირებულია დრეკადი თხელი სასრული ჩართვისა და დრეკად ფირფიტის ურთიერთქმედებასთან, როდესაც ჩართვისა და ფირფიტის მასალები ექვემდებარებიან</p>			

